

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №606

2022 წლის 29 დეკემბერი

ქ. თბილისი

„სახელმწიფოს ახალგაზრდული სტრატეგია 2023-2026-ისა“ და მისი 2023 წლის სამოქმედო გეგმის  
დამტკიცების შესახებ

**მუხლი 1**

„2020 – 2030 წლებისთვის საქართველოს ახალგაზრდული პოლიტიკის კონცეფციის“ დამტკიცების  
შესახებ“ საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 17 ივლისის №7054-რს დადგენილების შესაბამისად,  
დამტკიცდეს „სახელმწიფოს ახალგაზრდული სტრატეგია 2023-2026“ და მისი 2023 წლის სამოქმედო  
გეგმა, ამ დადგენილების დანართების შესაბამისად.

**მუხლი 2**

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი

ირაკლი ღარიბაშვილი



სახელმწიფოს ახალგაზრდული სტრატეგია  
2023-2026

<b>სარჩევი</b>	
<b>აკრონიმები</b>	<b>3</b>
<b>1. შესავალი</b>	<b>4</b>
<b>2. ხედვა</b>	<b>26</b>
<b>3. სტრატეგიის მიზნები და ამოცანები</b>	<b>27</b>
სტრატეგიული მიზანი 1: ახალგაზრდების განვითარებისა და მათი პოტენციალის გამოვლენის ხელშეწყობა	27
სტრატეგიული მიზანი 2: ახალგაზრდების ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის გაძლიერება	29
სტრატეგიული მიზანი 3: ახალგაზრდების ეკონომიკური გაძლიერება	33
სტრატეგიული მიზანი 4: ახალგაზრდების მონაწილეობის ხელშეწყობა საზოგადოებრივ და დემოკრატიულ პროცესებში	35
სტრატეგიული მიზანი 5: ახალგაზრდული პოლიტიკის მართვის სისტემის გაუმჯობესება	39
<b>4. სტრატეგიის განხორციელება, კოორდინაცია, მონიტორინგი და შეფასება</b>	<b>39</b>
<b>დანართები</b>	<b>42</b>

**აკრონიმები**

NEET	ახალგაზრდა, რომელიც არ არის დასაქმებული, არ არის ჩართული ფორმალურ საგანმანათლებლო სისტემაში, არ მონაწილეობს არაფორმალურ საგანმანათლებლო აქტივობაში
შშმ	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე
RMSOS	უფლებები, საშუალებები, სივრცეები, შესაძლებლობები, მხარდაჭერა
ALMP	შრომის ბაზრის აქტიური პოლიტიკა
სსიპ	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
საქსტატი	საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური
დკსჯეც	სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი
შსს	საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო
გაერო	გაერთიანებული ერების ორგანიზაცია
UNFPA	გაეროს მოსახლეობის ფონდი
UNICEF	გაეროს ბავშვთა ფონდი
UNDP	გაეროს განვითარების პროგრამა
UNIDO	გაეროს ინდუსტრიული განვითარების ორგანიზაცია
ILO	შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია
UNHCR	გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატი
ჯანმო	ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია
SDG	მდგრადი განვითარების მიზნები
ETF	ევროპის განათლების ფონდი
COVID-19	კორონავირუსული დაავადება (COVID-19) - ინფექციური დაავადება, რომელსაც იწვევს მწვავე რესპირატორული სინდრომის ვირუსი (SARS-CoV-2)

## 1. შესავალი

ახალგაზრდობა არის ქვეყნის მდგრადი განვითარების მამოძრავებელი ძალა და ადამიანური კაპიტალის მთავარი განახლებადი წყარო. სახელმწიფო ახალგაზრდებისთვის და ახალგაზრდებთან ერთად ქმნის მათი, როგორც ინდივიდებისა და საზოგადოების სრულფასოვანი წევრების განვითარების მხარდამჭერ გარემოს, რაც ხელს შეუწყობს თითოეულის პოტენციალის სრულად გამოყენებას, ეკონომიკურ გაძლიერებასა და ქვეყნის განვითარების პროცესში აქტიურ მონაწილეობას.

„სახელმწიფოს ახალგაზრდული სტრატეგია 2023-2026“ (შემდგომში - სტრატეგია) საქართველოს სამთავრობო სტრატეგიაა, რომელიც სწორედ აღნიშნული მიზნის მიღწევას ემსახურება. მისი ამოცანაა „2020-2030 წლებისთვის საქართველოს ახალგაზრდული პოლიტიკის კონცეფციით“ (შემდგომში - კონცეფცია) განსაზღვრული სტრატეგიული პრიორიტეტების განხორციელება კოორდინირებულად, სტრუქტურირებულად და გამჭვირვალედ. გარდა ამისა, ამ სტრატეგიის ამოცანების განხორციელება პირდაპირ პასუხობს სამთავრობო პროგრამის, „2021-2024 ევროპული სახელმწიფოს მშენებლობისთვის“ ერთ-ერთი მიმართულებით, ახალგაზრდული პოლიტიკით განსაზღვრულ მიზნებს და „ხედვა 2030 - საქართველოს განვითარების სტრატეგია“, ერთ-ერთი ქვეთავის, ახალგაზრდული პოლიტიკის მიზნებს.

### კონტექსტი

საქართველოში ახალგაზრდული პოლიტიკის განხორციელების სამართლებრივი საფუძველია საქართველოს პარლამენტის მიერ დამტკიცებული „2020-2030 წლებისთვის საქართველოს ახალგაზრდული პოლიტიკის კონცეფცია“. კონცეფციით განსაზღვრული სტრატეგიული პრიორიტეტების განხორციელებაზე პასუხისმგებელია საქართველოს მთავრობა, ხოლო ადგილობრივმა ხელისუფლებებმა, თავიანთი უფლებამოსილების შესაბამისად, ხელი უნდა შეუწყონ ამ პრიორიტეტებისა და სამოქმედო გეგმის განხორციელებას. სსიპ ახალგაზრდობის სააგენტოს, საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ზედამხედველობით, ევალება ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტების (სტრატეგია, სამოქმედო გეგმა) შემუშავება და საქართველოს მთავრობისთვის დასამტკიცებლად წარდგენა კონცეფციით გათვალისწინებული შედეგების მისაღწევად. კონცეფცია სსიპ ახალგაზრდობის სააგენტოს ასევე ავალებს სახელმწიფოს ახალგაზრდული პოლიტიკის საკოორდინაციო მექანიზმების შემუშავებასა და მათი გამართული ფუნქციონირებისთვის საჭირო პირობების შექმნას, რაც ხელს შეუწყობს ადმასრულებელი ხელისუფლების ორგანოებისა და ახალგაზრდული პოლიტიკის სფეროში სხვა დაინტერესებული მხარეების მჭიდრო, შეთანხმებულ თანამშრომლობას.

კონცეფციის მიზანია ისეთი გარემოს შექმნა, სადაც უზრუნველყოფილია ახალგაზრდების (14-29 წლის), როგორც საზოგადოების სრულფასოვანი წევრების, მონაწილეობა, ღირსეული დასაქმება, ჯანმრთელობის დაცვა და კეთილდღეობა, ინფორმაციის, რესურსებისა და განვითარების შესაძლებლობების თანაბრად ხელმისაწვდომობა.

კონცეფციისა და სტრატეგიის მიზნები სრულად შეესატყვისება **საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილებას:**

- სახელმწიფოს სტრატეგიის მიზნები და ამოცანები პირდაპირ უკავშირდება **გაეროს 2030 წლის მდგრადი განვითარების მიზნებს.**
- **ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციას (CM/Rec(2015)3** ნაკლები შესაძლებლობის მქონე რაიონების წარმომადგენელი ახალგაზრდების სოციალურ

უფლებებზე ხელმისაწვდომობის შესახებ), რომლის თანახმადაც - ახალგაზრდული პოლიტიკის მიზანია ახალგაზრდებისთვის შესაბამისი შესაძლებლობების მიცემისა და გამოცდილების შექმნის გზით ხელი შეუწყოს საზოგადოებაში მათ სრულყოფილ ინტეგრაციას, საზოგადოების აქტიურ და პასუხისმგებლიან წევრებად და ცვლილების აგენტებად ჩამოყალიბებას. ახალგაზრდული პოლიტიკა მოიცავს ოთხ განზომილებას, რომლებიც ეხება ახალგაზრდების ცხოვრების ყველა ასპექტს: 1. კარგ ფორმაში ყოფნა (ფიზიკურად და გონებრივად); 2. სწავლა (ინფორმალური, არაფორმალური და ფორმალური); 3. მონაწილეობა; 4. ინკლუზია. ახალგაზრდული პოლიტიკის სამიზნეა ყველა ახალგაზრდა, თუმცა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მათ, ვინც სოციალურად, ეკონომიკურად ან კულტურულად მოწყვლად ჯგუფს მიეკუთვნება.<sup>1</sup>

- **ესტონეთის „ახალგაზრდული სფეროს განვითარების გეგმა 2021-2035“**-ს, რომლის მთავარი მიზანია ახალგაზრდების (7-26 წლის ასაკობრივი ჯგუფი) განვითარებისათვის საჭირო მრავალფეროვანი შესაძლებლობების შექმნა. სტრატეგიაში განსაკუთრებულად არის აღნიშნული ხარისხიანი ახალგაზრდული საქმიანობის სერვისებზე ხელმისაწვდომობის როლი; ახალგაზრდებისათვის დამახასიათებელი სპეციფიკური საჭიროებების გაცნობიერება; კონკრეტული მიდგომებითა და ინსტრუმენტებით ახალგაზრდების მონაწილეობის უზრუნველყოფა და მათი უფლებების დაცვა; ახალგაზრდებში უსაფრთხოების გრძნობის გაძლიერება (განსაკუთრებული ყურადღება NEET-ახალგაზრდებზე) და სტიგმატიზაციის წინააღმდეგ ბრძოლა.<sup>2</sup>
- **ირლანდიაში სახელმწიფოს ახალგაზრდული სტრატეგიას (2015-2020)**, რომლის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენენ 10-24 წლის ახალგაზრდები. სტრატეგიის კონკრეტული ამოცანებია: ახალგაზრდების ჯანმრთელობის, ფიზიკური და ფსიქიკური კეთილდღეობის ხელშეწყობა; განათლებაში პოტენციალის სრულად გამოვლენის მხარდაჭერა; უსაფრთხოების დაცვა; ეკონომიკური შესაძლებლობების განვითარება; ახალგაზრდების აქტიური მოქალაქეობის, ავტონომიურობის, და სოციალური ინტეგრაციის ხელშეწყობა.<sup>3</sup>

საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმების ფარგლებში საქართველომ აიღო ვალდებულება, ევროკავშირთან გააღრმავოს თანამშრომლობა ახალგაზრდული პოლიტიკის, ახალგაზრდული საქმიანობისა და არაფორმალური განათლების სფეროში და ამ მიზნით ხელი შეუწყოს ახალგაზრდებისთვის, არაფორმალური განათლებითა და მოხალისეობრივი საქმიანობით, ცოდნისა და გამოცდილების გაზიარებას, ასევე - კულტურათაშორის დიალოგის ხელშეწყობი მექანიზმების განვითარებას.

წარმოდგენილი სტრატეგიის დოკუმენტი, ახალგაზრდული პოლიტიკის კონცეფციის მსგავსად, ეფუძნება საერთაშორისო პოლიტიკური და სამართლებრივი ვალდებულებების განმსაზღვრელ, საქართველოს კონსტიტუციის შესაბამის დოკუმენტებს. მათ შორისაა:

- ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია;
- ბავშვის უფლებების კონვენცია;
- ბავშვის უფლებათა კოდექსი;
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია;
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ საქართველოს კანონი;

<sup>1</sup> *Access of young people from disadvantaged neighborhoods to social rights*; <https://rm.coe.int/168066671e>

<sup>2</sup> *The Youth Field Development Plan 2021-2035*; <https://national-policies.eacea.ec.europa.eu/youthwiki/>

<sup>3</sup> *National Youth Strategy 2015-2020*; <https://www.youth.ie/>

- ასოცირების შესახებ შეთანხმება, ერთი მხრივ, საქართველოს, მეორე მხრივ, ევროკავშირსა და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებასა და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის და შესაბამისი სამოქმედო გეგმა;
- გაეროს მდგრადი განვითარების მიზნები (მდგრადი განვითარების დღის წესრიგი 2030 წლისთვის);
- გაეროს ახალგაზრდული სტრატეგია (ახალგაზრდობა-2030) - „მუშაობა ახალგაზრდებისთვის და ახალგაზრდებთან ერთად“;
- გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია 2250 „ახალგაზრდობის, მშვიდობისა და უსაფრთხოების შესახებ“;
- გაეროს 75-ე წლისადმი გამოცემული დეკლარაცია „ჩვენი საერთო დღის წესრიგი“ (Our Common Agenda – OCA);
- ევროკავშირის ახალგაზრდული სტრატეგია- „ახალგაზრდების ჩართვა, დაკავშირება და გამლიერება“;
- ევროპის საბჭოს ახალგაზრდული სექტორის სტრატეგია 2030;
- ევროპის საბჭოს რეკომენდაციები ახალგაზრდულ პოლიტიკასთან დაკავშირებით;
- ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენცია;
- ახალგაზრდული პოლიტიკისა და პროგრამების თაობაზე ლისაბონის დეკლარაცია;
- მოსახლეობისა და განვითარების საერთაშორისო კონფერენციის 25-ე წლისთავისადმი მიძღვნილი ნაირობის სამიტის (Nairobi Summit on ICPD25) განცხადება;

სტრატეგიის განხორციელება ხელს შეუწყობს ქვემოთ წარმოდგენილი ნორმატიული აქტებითა და სტრატეგიული დოკუმენტებით განსაზღვრული მიზნების მიღწევას. ეს დოკუმენტებია:

- საქართველოს დემოგრაფიული უსაფრთხოების კონცეფცია;
- საქართველოს შრომისა და დასაქმების პოლიტიკის 2019-2023 წლების ეროვნული სტრატეგია;
- კულტურის სტრატეგია 2025;
- საქართველოს დედათა და ახალშობილთა ჯანმრთელობის ხელშეწყობის 2017-2030 წლების ეროვნული სტრატეგია;
- მდგრადი განვითარების მიზნების ეროვნული დოკუმენტი;
- სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის 2021-2030 წლების სახელმწიფო სტრატეგია და სამოქმედო გეგმა;
- საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია 2021-2025 წლებისთვის;
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების ერთიანი ეროვნული სტრატეგია 2022-2030;
- ხედვა 2030 - საქართველოს განვითარების სტრატეგია;
- საქართველოს პარლამენტის სტრატეგია მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელების ხელშეწყობისა და მონიტორინგისათვის.

სტრატეგიაში გათვალისწინებულია COVID-19-ის პანდემიის გამოწვევები და პოსტპანდემიური განვითარების პრიორიტეტები. პანდემიამ და მასთან დაკავშირებულმა შეზღუდვებმა ახალგაზრდების ცხოვრებაში გამოიწვია მნიშვნელოვანი ცვლილებები, რომელთა ზემოქმედების მასშტაბი ჯერ შესწავლის საგანია. პანდემიამ შეაფერხა და საფრთხე შეუქმნა ყველა იმ ტრანზიციას, რომლებიც ახალგაზრდების განვითარებასა და ავტონომიურობას უკავშირდება, იქნება ეს განათლება, დასაქმება, ეკონომიკური თუ ფინანსური დამოუკიდებლობა, საკუთარი ოჯახის შექმნა და სხვა. ჩვენ წინაშე ჩამოყალიბებული ახალი რეალობა გავლენას ახდენს ახალგაზრდული სფეროს აქტორებზეც,

მათ შორის- პოლიტიკის შემქმნელებზე, პრაქტიკოსებზე, ახალგაზრდულ ორგანიზაციებზე, ახალგაზრდების მონაწილეობის პლატფორმებსა და ახალგაზრდულ საკითხთა მკვლევრებზე. ამ გარემოებამ წარმოშვა კითხვები ურთიერთობებისა (მეგობრებსა და მთელ საზოგადოებასთან) და ქცევის მოდელის შეცვლასთან დაკავშირებით. პანდემიამ უარყოფითი გავლენა მოახდინა ახალგაზრდების კეთილდღეობასა და ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე, დასაქმებაზე, მონაწილეობაზე, სამოქალაქო აქტიურობაზე, ახალგაზრდულ ორგანიზაციებსა და ახალგაზრდების ცხოვრების ბევრ სხვა სფეროზე.<sup>4</sup>

## პრინციპები

სტრატეგიის მიზნების ეფექტიანად მიღწევისთვის მნიშვნელოვანია მისი განხორციელების, მონიტორინგისა და შეფასების პროცესში, აღმასრულებელ ხელისუფლებასთან ერთად, აქტიურად ჩაერთონ ახალგაზრდები, ახალგაზრდული ორგანიზაციები და სხვა დაინტერესებული მხარეები.

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მე-16 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, მუნიციპალიტეტი უფლებამოსილია, ადგილობრივ დონეზე ხელი შეუწყოს ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარებას.<sup>5</sup> ეს ჩანაწერი არ გულისხმობს პირდაპირ ვალდებულებას, თუმცა ახალგაზრდული პოლიტიკისა და აღნიშნული სტრატეგიის წარმატებით განხორციელებაში ადგილობრივ თვითმმართველობას მნიშვნელოვანი როლი ენიჭება.

ამასთანავე, მნიშვნელოვანია, რომ ყველა შესაბამისი დარგობრივი პოლიტიკა, ეროვნული თუ ადგილობრივი სტრატეგია ითვალისწინებდეს ახალგაზრდების საჭიროებებს და ხელს უწყობდეს მათ მონაწილეობას აღნიშნული დოკუმენტების შემუშავების, განხორციელების, მონიტორინგისა და შეფასების პროცესში.

ცენტრალურ და მუნიციპალიტეტების დონეზე აღნიშნული სტრატეგიისა და ახალგაზრდული პოლიტიკის განხორციელების ყველა ეტაპზე გასათვალისწინებელია შემდეგი პრინციპები:

- ადამიანის უფლებებისა და თანასწორობის დაცვა - ყველა ახალგაზრდა უნდა სარგებლობდეს თანაბარი უფლებებით. დაუშვებელია ნებისმიერი სახის დისკრიმინაცია.
- თანაბარი შესაძლებლობებისა და პირობების შექმნა - ახალგაზრდებსა და ახალგაზრდულ ორგანიზაციებს უნდა ჰქონდეთ თანაბარი შესაძლებლობები და შეეძლოთ, სურვილის მიხედვით, აქტიურად ჩაერთონ აღნიშნული სტრატეგიის, ახალგაზრდული პოლიტიკისა და პროგრამების შემუშავების, იმპლემენტაციის, მონიტორინგისა და შეფასების პროცესში.
- ცენტრალურ და მუნიციპალიტეტების დონეზე სტრატეგიისა და ახალგაზრდული პოლიტიკის განხორციელების ყველა ეტაპი უნდა იყოს ინკლუზიური, გამჭვირვალე და ეფუძნებოდეს გენდერული თანასწორობის პრინციპს.
- ცენტრალურ და მუნიციპალიტეტების დონეზე სტრატეგიისა და ახალგაზრდული პოლიტიკის განხორციელების ყველა ეტაპზე, საჭიროებისამებრ, გათვალისწინებული უნდა იყოს ნაკლები შესაძლებლობის მქონე ახალგაზრდების, შშმ ახალგაზრდების, ასევე ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების წარმომადგენელი და საქართველოს

<sup>4</sup> *Impact of COVID-19 on young people and the youth sector – cross country analysis based on a survey carried out in spring 2021 Policy Brief*; [pip-eu.coe.int](http://pip-eu.coe.int)

<sup>5</sup> ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი;  
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/2244429?publication=63>

ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები ახალგაზრდების საჭიროებები და მათი მდგომარეობა.

### **მეთოდოლოგია**

სტრატეგიის შემუშავებაში აქტიურად მონაწილეობდნენ გაეროს სააგენტოებისა და ევროკავშირის ტექნიკური დახმარების პროექტით მოწვეული კონსულტანტები, საჯარო უწყებები, საერთაშორისო ორგანიზაციები, ახალგაზრდული ორგანიზაციები და ახალგაზრდები. პროცესის მეთოდოლოგიურად გამართვის ნაწილში, მნიშვნელოვანი როლი ჰქონდა, როგორც ფინანსური, ისე ტექნიკური მხარდაჭერის კომპონენტებით, ახალგაზრდულ საკითხებზე გაეროს საკოორდინაციო ჯგუფს (UNFPA, UNICEF, UNDP, UNIDO, ILO, UNHCR) და საქართველოში ევროკავშირის პროგრამის „უნარები დასაქმებისთვის“ (Skills4Jobs) მეორე ფაზის ტექნიკური მხარდაჭერის პროექტს - „ტექნიკური მხარდაჭერა შრომის ბაზრის საჭიროებებსა და დასაქმებაზე მორგებული ცოდნა-უნარების განვითარებისთვის“.

ამავდროულად, ჩამოყალიბდა სახელმწიფოს ახალგაზრდული სტრატეგიის უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფი, რომელიც აქტიურად იყო ჩართული სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავების ყველა ეტაპზე და მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა მის მომზადებაში. სამუშაო ჯგუფის შემადგენლობაში იყვნენ შემდეგი უწყებების წარმომადგენლები:

- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო;
  - ა(ა) იპ პროფესიული უნარების სააგენტო;
  - სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი;
  - სსიპ - საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახური;
- საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო;
  - სსიპ - გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი;
- საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო;
  - სსიპ ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო;
- საქართველოს თავდაცვის სამინისტრო;
- საქართველოს იუსტიციის სამინისტრო;
  - სსიპ დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო;
- საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო;
- საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო;
  - სსიპ -დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტო;
  - სსიპ-ლ.საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი;
  - სსიპ-სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტო;
  - სსიპ -შრომის ინსპექციის სამსახური;
- საქართველოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური;
- საქართველოს პროკურატურა;
- საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო;
  - სსიპ- საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი;
- საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო;
- საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი;

- საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური;
- საქართველოს ფინანსთა სამინისტრო;
- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო;
- სსიპ – საჯარო სამსახურის ბიურო;
- შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი;

ამასთანავე, ახალგაზრდებსა და ახალგაზრდულ ორგანიზაციებთან გაიმართა კონსულტაციების ვრცელი სერია. სტრატეგიის პროექტის შემუშავების პროცესში რეალურ და ონლაინ სივრცეში ჩატარებულ 14 ფორუმს დაესწრო 1000-მდე ადამიანი. მათგან საერთაშორისო ორგანიზაციებიდან, ადგილობრივი თვითმმართველობებიდან და საექსპერტო წრეებიდან სტუმრის სტატუსით მოწვეული იყო 150-მდე ადამიანი. რეგიონული ახალგაზრდული ფორუმებიდან, ონლაინ შეხვედრებიდან და ასევე წერილობით მიღებული უკუკავშირი ასახულია სტრატეგიის მიზნებში, ამოცანებში, ინდიკატორებსა და აქტივობებში, რის საფუძველზეც მომზადდა სტრატეგიის საბოლოო ვერსია.

### სიტუაციის ანალიზი

სსიპ ახალგაზრდობის სააგენტომ, საქართველოს პარლამენტის მიერ დამტკიცებული „2020–2030 წლებისთვის საქართველოს ახალგაზრდული პოლიტიკის კონცეფციის“ ძირითადი პრიორიტეტების შესაბამისად, მოწვეული ექსპერტების მონაწილეობით და პრობლემის ხის მიდგომის გამოყენებით მოამზადა სიტუაციის ანალიზი.

სიტუაციის ანალიზს საფუძვლად დაედო საქართველოს სახელმწიფოს ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარების სამოქმედო გეგმის (2015-2020 წ.წ.)<sup>6</sup> შეფასების ანგარიში. გათვალისწინებულ იქნა სსიპ ახალგაზრდობის სააგენტოს მიერ განხორციელებული ახალგაზრდების საჭიროებების იმ კვლევის შედეგები, რომელიც საქართველოში ევროკავშირის პროგრამის, „უნარები დასაქმებისთვის“ (Skills4Jobs) მეორე ფაზის ტექნიკური მხარდაჭერის პროექტის - „ტექნიკური მხარდაჭერა შრომის ბაზრის საჭიროებებსა და დასაქმებაზე მორგებული ცოდნა-უნარების განვითარებისთვის“ - დახმარებით 2020 წლის ზაფხულში ჩატარდა; ასევე - ფრიდრიხ ებერტის ფონდის სამხრეთ კავკასიის წარმომადგენლობის მხარდაჭერით კვლევითი კომპანია „ეისითის“ (ACT) მიერ 2021 წელს ქვეყნის 10 რეგიონში (თბილისის გარდა) ჩატარებული კვლევის - „ახალგაზრდობის საჭიროებები და გამოწვევები მუნიციპალურ და რეგიონულ დონეზე“ - შედეგები.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 17 ივლისის N7054-რს დადგენილებით დამტკიცებული კონცეფციის ძირითადი სამიზნე ჯგუფი აერთიანებს 14-29 წლის ახალგაზრდებს, „სახელმწიფოს ახალგაზრდულ სტრატეგია 2023-2026“ სამიზნედ განისაზღვრა 6-29 წლის ასაკობრივი ჯგუფი.

### ახალგაზრდების შესახებ ზოგადი ინფორმაცია

2022 წლის 1 იანვრის მონაცემებით, საქართველოს მოსახლეობა იყო 3 688 647. მათგან ახალგაზრდების (6-29 წლის ასაკობრივი ჯგუფი) რაოდენობაა 1 101 029, რაც მოსახლეობის 29,8%-ს შეადგენს. ახალგაზრდების 52,1% (574 107) მამაკაცია, ხოლო 47,9% (526 922) - ქალი.<sup>7</sup>

<sup>6</sup> საქართველოს მთავრობის განკარგულება, 2015წ. 5 მარტი, №349, <https://matsne.gov.ge/ka>

<sup>7</sup> საქსტატი, 2022- <https://www.geostat.ge/ka>

სოციალური მომსახურების სააგენტოს 2022 წლის ნოემბრის მონაცემებით, საარსებო შემწეობას იღებდა 6-18 წლის 185,033 და 18-30 წლის 74,872 ახალგაზრდა.<sup>8</sup> მძიმე ეკონომიკური ფონი და სიღარიბე ზრდის სოციალურ საფრთხეს და ნეგატიურ ფონს ქმნის დანაშაულის მატების, ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებისა თუ არაჯანსაღი ცხოვრების წესის თვალსაზრისით.

ქვემოთ წარმოდგენილი ინფორმაცია ცხადყოფს, რომ ახალგაზრდები ყველა მიმართულებით ბევრი პრობლემისა და გამოწვევის წინაშე დგანან, იქნება ეს განათლება, დასაქმება, ჯანმრთელობა და ჯანსაღი ცხოვრება, დანაშაულის პრევენცია, მონაწილეობა თუ სხვა.

### **ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტების მიმოხილვა**

საქართველოში ახალგაზრდული პოლიტიკის შემუშავებაზე პასუხისმგებელი პირველი სამთავრობო სტრუქტურა - „საქართველოს რესპუბლიკის ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტი“ 1994 წელს შეიქმნა, 2004 წელს კი საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს შეუერთდა. 2001 წელს პრეზიდენტის ბრძანებით დამტკიცდა დეპარტამენტის მიერ მომზადებული „ახალგაზრდობის სახელმწიფო მხარდაჭერის კონცეფცია“, რომელიც მოიცავდა ოთხწლიან პერიოდს და მიზნად ისახავდა ბავშვებისა და ახალგაზრდების (26 წლამდე მოქალაქეების) მხარდაჭერას შემდეგი პრიორიტეტული მიმართულებებით: 1. განათლება; 2. დასაქმება; 3. ჯანმრთელობა; 4. ნარკოტიკების ბოროტად მოხმარებისა და არასრულწლოვანთა დამნაშავეობის შემცირება; 5. თავისუფალი დროის სწორად გამოყენება; 6. მონაწილეობა; 7. საერთაშორისო თანამშრომლობა. სამწუხაროდ, ბიუჯეტის სიმწირის გამო პრიორიტეტული მიმართულებებით დაგეგმილი აქტივობები სრულად არ განხორციელებულა, თუმცა კონცეფციით განსაზღვრული ამოცანების ნაწილი შევიდა სხვადასხვა უწყების სამოქმედო გეგმაში, რამაც ხელი შეუწყო მათ ნაწილობრივ შესრულებას.

2012 წელს მთავრობამ დაამტკიცა საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს მიერ მომზადებული საქართველოს სახელმწიფოს ახალგაზრდული პოლიტიკის პირველი დოკუმენტი. ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარების უწყებათაშორისმა საკოორდინაციო საბჭომ ჩაატარა სახელმწიფოს ახალგაზრდული პოლიტიკის პირველი დოკუმენტის რევიზია, განაახლა და შეიმუშავა მისი თანმდევი სამოქმედო გეგმა. საქართველოს მთავრობის განკარგულებით განახლებული პოლიტიკის დოკუმენტი 2014 წელს დამტკიცდა.

2014 წლის ახალგაზრდული პოლიტიკის სამიზნე ჯგუფი იყო 14-29 წლის ახალგაზრდობა და მოიცავდა ოთხ სტრატეგიულ მიმართულებას: 1. მონაწილეობა; 2. განათლება, დასაქმება და მობილობა; 3. ჯანმრთელობა; 4. სპეციალური მხარდაჭერა და დაცვა. 2015 წელს საქართველოს ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტის სტრატეგიული მიმართულებების განსახორციელებლად მთავრობის მიერ დამტკიცდა „საქართველოს სახელმწიფოს ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარების სამოქმედო გეგმა (2015-2020 წ.წ.)“, რომელიც აერთიანებდა 76 ამოცანასა და 207 პროგრამას. ყველა აქტივობა პასუხობდა პოლიტიკის დოკუმენტით დასახულ მიზნებს.

2019 წელს, საქართველოს პარლამენტის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტის ინიციატივითა და გაეროს მოსახლეობის ფონდის (UNFPA) მხარდაჭერით, შეფასდა ახალგაზრდული პოლიტიკის სამოქმედო გეგმის შესრულება. ანგარიშის თანახმად, 207 პროგრამიდან 59 პროგრამის შესახებ ინფორმაციის მოპოვება ვერ მოხერხდა. დარჩენილი 148

<sup>8</sup> სოციალური მომსახურების სააგენტო, 2022-[http://ssa.gov.ge/index.php?lang\\_id=&sec\\_id=1594](http://ssa.gov.ge/index.php?lang_id=&sec_id=1594)

პროგრამიდან 106 ან განხორციელების პროცესში, ან უკვე განხორციელებული იყო. შეჩერებული ან განუხორციელებელი აღმოჩნდა 42 პროგრამა.

ამავე წელს საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა „2020-2030 წლებისთვის საქართველოს ახალგაზრდული პოლიტიკის კონცეფცია“. კონცეფციის პრიორიტეტებზე დაყრდნობით, 2019 წლის აგვისტოში საქართველოს მთავრობის №411 დადგენილების საფუძველზე შექმნილ სსიპ ახალგაზრდობის სააგენტოს დაევალა შესაბამისი სახელმწიფოს ახალგაზრდული სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის კოორდინირებულად მომზადება.

## სიტუაციის ანალიზის შედეგად გამოვლენილი ძირითადი პრობლემები

### 1. ახალგაზრდების განვითარებისა და მათი პოტენციალის გამოვლენის ხელშემწყობი პირობების ნაკლებობა

ახალგაზრდების სოციალური განვითარებისთვის აუცილებელია არა მხოლოდ ვიწრო სპეციალობის შესწავლა, არამედ ისეთი უნარებისა და კომპეტენციის განვითარება, რომლებიც ხელს უწყობს მთელი ცხოვრების მანძილზე ახალი ცოდნის შეძენას, პრაქტიკული და გამჭოლი კომპეტენციების განვითარებას. ამის მიღწევა შესაძლებელია სწავლების სხვადასხვა ფორმის საშუალებით. მთელი ცხოვრების განმავლობაში ხელმისაწვდომი უნდა იყოს სწავლების ყველა ფორმა: ფორმალური, არაფორმალური და ინფორმალური. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საქართველოში, სადაც სამუშაო ძალის გამოკვლევის (LFS) 2021 წლის მონაცემებით, ახალგაზრდების (14-29 წლის ასაკობრივი ჯგუფი) 34,6% მიეკუთვნება ე.წ. NEET-კატეგორიას (არ არის დასაქმებული, არ დადის საგანმანათლებლო დაწესებულებაში, არ არის ჩართული არაფორმალურ საგანმანათლებლო აქტივობაში), აქედან 37,3% არის ქალი, ხოლო 32,1% მამაკაცი.<sup>9</sup>

ამ მიმართულებით სიტუაციის ანალიზის შემდეგ გამოიკვეთა რამდენიმე პრობლემური საკითხი:

#### 1.1. არაფორმალური საგანმანათლებლო პროგრამების არარსებობა/სიმწირე და მათში ახალგაზრდების ჩართულობის დაბალი დონე

ახალგაზრდული საქმიანობა, უპირველეს ყოვლისა, სოციალური და საგანმანათლებლო პრაქტიკაა, რომელიც ხელს უწყობს ახალგაზრდების განვითარებასა და კეთილდღეობას, ქვეყნის ყოველდღიურ ცხოვრებაში მათ აქტიურ მონაწილეობასა და საზოგადოებაში ინტეგრაციას. ახალგაზრდულ საქმიანობაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება არაფორმალურ განათლებას. საქართველოს რეგიონებში მცხოვრები ახალგაზრდების 37% ფიქრობს, რომ არაფორმალური განათლების ხელმისაწვდომობა პრობლემაა.<sup>10</sup>

ასევე, საქართველოში, სამართლებრივი თვალსაზრისით, არ არსებობს ახალგაზრდული მუშაკის პროფესია, არ არსებობს ახალგაზრდული მუშაკის პროფესიის სტანდარტი, ხარისხის კონტროლის მექანიზმები და აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამები, შედეგად კი ჩნდება რისკი, რომ ახალგაზრდები ან საერთოდ ვერ შეძლებენ ახალგაზრდულ საქმიანობაში მონაწილეობას ან ჩაერთვებიან დაბალხარისხიან პროგრამებში. მაღალკვალიფიციურ ახალგაზრდულ მუშაკებს შეუძლიათ მნიშვნელოვანი დახმარება აღმოუჩინონ სამთავრობო და არასამთავრობო პროგრამებს ახალგაზრდების ეფექტიან მობილიზებაში, ახალგაზრდების კომპეტენციების განვითარების ხელშეწყობასა და სასიცოცხლო უნარების განვითარებაში. ახალგაზრდული მუშაკების როლი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია განათლების, დასაქმებისა და ტრენინგის მიღმა მყოფი (ე.წ. NEET) ახალგაზრდების წინაშე არსებულ

<sup>9</sup> საქსტატი, 2021- <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/683/dasakmeba-umushevroba>

<sup>10</sup> ახალგაზრდობის სააგენტო, 2021- [youthagency.gov.ge](http://youthagency.gov.ge)

გამოწვევებთან გამკლავებაში. ასევე, ახალგაზრდულ მუშაკებს მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა შეუძლიათ ახალგაზრდების ემიგრაციასთან, რადიკალიზაციასა და სოციალურ გარიყულობასთან დაკავშირებული საკითხების მოგვარებაში.

მსოფლიო ბანკის 2020 წლის შეფასების მიხედვით, საქართველოს ადამიანური კაპიტალის ინდექსის საერთო მაჩვენებელი 0,57-ია, რაც ნიშნავს, რომ ქვეყანაში დღეს დაბადებული ბავშვი სრულფასოვანი განათლებისა და სრულყოფილი ჯანმრთელობის შემთხვევაში, ზრდასრულ ასაკში თავისი შესაძლო პროდუქტიულობის 57%-ს მიაღწევს.

არაფორმალური განათლების და ახალგაზრდული საქმიანობის ერთ-ერთი გავრცელებული ფორმაა ჰობი განათლება (ექსტრაკურსული განათლება, სკოლისშემდგომი სახელოვნებო, სახელობო, სასპორტო განათლება). ის ორიენტირებულია ახალგაზრდების (6-29 წლის) მრავალმხრივ (კომპეტენციების) განვითარებაზე მათი ინტერესების/ჰობის საფუძველზე. ჰობი განათლება ხორციელდება ახალგაზრდების ნებაყოფლობითი მონაწილეობით. ჰობი განათლების მიმართულებით მთავარი პრობლემა შეთავაზებული პროგრამების ხარისხი, უსაფრთხოების ნორმები და კვალიფიციური კადრების ნაკლებობაა.

ამ ფაქტორის ძირითადი მიზეზებია: ახალგაზრდული საქმიანობის შესახებ ცნობიერების დაბალი დონე; არაფორმალური განათლებისა და ახალგაზრდული საქმიანობის განმახორციელებელი ორგანიზაციების მხარდამჭერი მექანიზმების სიმცირე; კვალიფიციური ახალგაზრდული მუშაკების არასაკმარისი რაოდენობა.

ზემოთ ჩამოთვლილი პრობლემების უარყოფითი შედეგია ხარისხიანი არაფორმალური საგანმანათლებლო სერვისების არარსებობა/სიმცირე, ნაკლებად განვითარებული არაფორმალური განათლების აღიარებისა და ხარისხის კონტროლის მექანიზმები, რაც საბოლოოდ ახალგაზრდებში შრომის ბაზრის მოთხოვნის შესაბამისი გამჭოლი კომპეტენციების ნაკლებობას იწვევს.

## **2. ახალგაზრდებისთვის ჯანმრთელობის შესახებ ინფორმაციაზე წვდომის და ხარისხიანი მომსახურების ხელმისაწვდომობის დაბალი დონე**

მოზარდობის ასაკი პიროვნების განვითარების მნიშვნელოვანი პერიოდია. ამ დროს ადამიანები ხდებიან დამოუკიდებელი ინდივიდები, ამყარებენ ახალ ურთიერთობებს, სწავლობენ ქცევას, უვითარდებთ სოციალური უნარები, რომლებიც გაჰყვებათ მთელი სიცოცხლის მანძილზე. ეს პერიოდი ადამიანის ცხოვრებაში შეიძლება გამოწვევებითაც იყოს სავსე, რაც გამოწვეულია ბავშვობიდან ზრდასრულობისკენ გარდამავალი პერიოდისთვის დამახასიათებელი სწრაფი ნევროლოგიური, ფიზიკური და ემოციური ცვლილებებით, რაც საბოლოოდ ახალგაზრდებს უფრო მოწყვლადს ხდის ჯანმრთელობასთან (ფიზიკური, ფსიქიკური და სოციალური კუთხით) დაკავშირებული რისკების მიმართ.

სიტუაციის ანალიზის შემდეგ გამოიკვეთა რამდენიმე პრობლემური საკითხი:

### **2.1 ახალგაზრდების დასვენებისა და გართობის არასაკმარისი შესაძლებლობები და ფიზიკურ აქტივობებში ჩართულობის დაბალი დონე**

საკონსულტაციო შეხვედრებისას ახალგაზრდები ჯანმრთელობის ხელშეწყობასა და ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებას განიხილავდნენ, როგორც აზარტულ თამაშებზე, თანამედროვე ტექნოლოგიურ საშუალებებზე მიჯაჭვულობისა და ალკოჰოლის ჭარბად მოხმარების პრევენციის ერთ-ერთ მთავარ ღერძს. ახალგაზრდებთან საკონსულტაციო შეხვედრების შედეგად გამოვლინდა რეკრეაციული და გასართობი დაწესებულებების სიმცირეც რეგიონულ ცენტრებსა და სოფლებში. აქტუალური საკითხია ისიც, რომ ახალგაზრდებს უჭირთ კულტურული ობიექტების მონახულება რთულად მისაღწევი

ადგილმდებარეობისა და ფინანსური პრობლემების გამო. ეს პრობლემები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სოფლად მცხოვრები ახალგაზრდებისათვის. გარდა ამისა, სპორტული და სხვა ტიპის გასართობი ინფრასტრუქტურის შშმ პირთათვის მისაწვდომობაც საყურადღებო გამოწვევაა.

საქართველოს პარლამენტის თემატური მოკვლევის მიხედვით, მოსახლეობის არასაკმარისი ფიზიკური და სპორტული აქტივობა სახელმწიფოს წელიწადში საშუალოდ 16,8 მლნ ლარზე მეტი უჯდება. ამ თანხიდან ჯანდაცვის პირდაპირი ხარჯები შეადგენს 12,4 მლნ ლარს, პროდუქტიულობის დანაკარგი კი 4,4 მლნ ლარია.<sup>11</sup> ამასთან, თანამედროვე ტექნოლოგიებმა და განსაკუთრებით Covid-19-ის პანდემიამ ხელი შეუწყო გართობის მჯდომარე, ნაკლებად მოძრავი სახეობების განვითარება/პოპულარიზაციას.

საქართველოში 15-29 წლის ახალგაზრდების განაწილება სხეულის მასის ინდექსის კატეგორიების მიხედვით საქართველოში ქალების 19,4%, ხოლო მამაკაცების 26,2% ჭარბწონიანია. ხოლო ქალების 7.1% და მამაკაცების 3,6% აქვს წონის ნაკლებობა<sup>12</sup>.

აღნიშნული ფაქტორების ძირითადი მიზეზებია: ქვეყანაში კულტურულ-შემეცნებითი, დასასვენებელი/გასართობი ობიექტების, აქტივობების, პროგრამებისა და მომსახურების სიმცირე; ჯანსაღი ცხოვრების წესის კულტურის არქონა; არაჯანსაღი კვებითი ჩვევები; თავისუფალი დროის არქონა; თავისუფალი დროის გონივრულად და საინტერესოდ გამოყენებასა და ჯანმრთელობის ხელშეწყობას შორის კავშირის შესახებ ინფორმირებულობის დაბალი დონე.

## 2.2 ახალგაზრდებში ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მაღალი დონე

ბავშვებსა და მოზარდებში სულ უფრო გახშირდა ისეთი პრობლემები, როგორც არის ქცევითი აშლილობა, დეპრესია, ყურადღების დეფიციტი და სუიციდი. სკოლებსა და კოლეჯების/უნივერსიტეტების სტუდენტებს შორის ჩატარებული კვლევის მიხედვით, ყოველი მეხუთე ახალგაზრდა ადასტურებს დეპრესიული განცდების არსებობას.<sup>13</sup> ეს პრობლემა განსაკუთრებით აქტუალური გახდა Covid-19-ის პანდემიის დროს და პოსტპანდემიურ პერიოდში.

ფსიქიკური პრობლემების მქონე მოზარდები განსაკუთრებით მოწყვლადი არიან სოციალური გარიყვის, დისკრიმინაციის, სტიგმატიზაციის, საგანმანათლებლო სიმწიფეების, სარისკო ქცევების, ფიზიკური ჯანმრთელობის პრობლემებისა და ადამიანის უფლებების დარღვევის მიმართ. კვლევების თანახმად, ქართველი საზოგადოების წარმომადგენლები ან ყურადღებას არ აქცევენ ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე ადამიანებს, ან/და ცუდად ექცევიან მათ, ან/და მათ მიმართ ახორციელებენ პოზიტიურ დისკრიმინაციას.<sup>14</sup>

<sup>11</sup> საქართველოს პარლამენტის თემატური მოკვლევა „როგორ გავზარდოთ საქართველოს მოსახლეობის ფიზიკური და სპორტული აქტიურობის დონე.“ 2020 <https://parliament.leavingstone.club/>.

<sup>12</sup> ახალგაზრდების ეროვნული კვლევა საქართველოში, 2014. <https://www.unicef.org/georgia/media/1131/file>

<sup>13</sup> სირბილაძე თ., ჯავახიშვილი მ., კობაიძე მ., ჭიჭინაძე თ., ბენაშვილი მ. (2019). „ნარკოტიკების მოხმარებისა და სხვა პრობლემური ქცევების რისკ და დამცავი ფაქტორების კვლევა საქართველოს მოზარდებსა და ახალგაზრდებში.“ (თბილისი, საზოგადოებრივი გაერთიანება ბემონი) [bemoinidrug.org.ge](http://bemoinidrug.org.ge)

<sup>14</sup> შპს „გამოყენებითი კვლევების კომპანია ეი არ სი“. (2016). „ჯანმრთელობის ხელშეწყობის“ 2016 წლის სახელმწიფო პროგრამის კომპონენტის („ჯანმრთელობის ხელშეწყობის პოპულარიზაციისა და გაძლიერების კომპონენტი“) ფარგლებში ფსიქიკური ჯანმრთელობის ხელშეწყობის მიზნით თვისობრივი კვლევა. <https://test.ncdc.ge/>

აქვე აღსანიშნავია, რომ ნაკლებად არის განვითარებული პრევენციის, ფსიქიკური ჯანმრთელობის ხელშეწყობისა და ადრეული ინტერვენციის მიმართულებები. საქართველოში ბავშვებისა და მოზარდებისთვის შესაფერისი ფსიქიკური ჯანმრთელობის დაწესებულებების სიმცირეა, თანაც ისინი, ძირითადად დიდ ქალაქებშია თავმოყრილი.

ამ ფაქტორის ძირითადი მიზეზებია: მოზარდებისა და ახალგაზრდებისათვის განკუთვნილი ფსიქიკური ჯანმრთელობისთვის საჭირო რესურსების სიმცირე; ფსიქიკური ჯანმრთელობის მიმართ სათანადო საზოგადოებრივი ცნობიერებისა და დამოკიდებულების ნაკლებობა.

### 2.3 ფსიქოაქტიური ნივთიერებების ავად მოხმარება და ქცევითი დამოკიდებულების მაღალი დონე

მოზარდებსა და ახალგაზრდებში მნიშვნელოვანი გამოწვევაა ალკოჰოლის, თამბაქოსა და ნარკოტიკული ნივთიერებების ავად მოხმარება და ქცევითი დამოკიდებულება. მაგალითად, 2019 წლის მონაცემებით, მოსწავლეთა (16 წლის ასაკი) 46%-მა (ბიჭების 52%-მა და გოგონების 41%-მა) მიიღო ალკოჰოლი ბოლო 30 დღის განმავლობაში. მოსწავლეთა 12%-მა განაცხადა, რომ მოიხმარა თამბაქო ბოლო 30 დღის განმავლობაში. ეს მაჩვენებელი ბიჭებში (17%) ორჯერ მაღალია, ვიდრე გოგონებში (7%); რაც შეეხება ელექტრონულ სიგარეტს, ბოლო 30 დღის განმავლობაში მისი მოხმარება დაადასტურა მოსწავლეთა 7%-მა (ბიჭების 11%-მა და გოგონების 4%-მა). 2015 წელთან შედარებით, 2019 წელს სტატისტიკურად გაიზარდა (6%-დან 10%-მდე) ბოლო 30 დღის განმავლობაში მოსწავლეთა მიერ მარიხუანის მოხმარების პროცენტული მაჩვენებელიც. ზრდა შეიმჩნევა როგორც გოგონებში (1%-დან 7%-მდე), ისე - ბიჭებში (9%-დან 13%-მდე). მნიშვნელოვნად გაიზარდა ბალახოვანი მოსაწევი ნარევის მიღების მაჩვენებელი (4.5 %-დან 10.5%-მდე), განსაკუთრებით - გოგონებში (2%-დან 10%-მდე). გოგონებში გაზრდილია სითხისა და ფხვნილის, კრისტალის ან ტაბლეტის მიღების სიხშირე (2%-დან 8%-მდე).<sup>15</sup> თანამედროვე ტექნოლოგიები, ინტერნეტის ხელმისაწვდომობა და სოციალურ ქსელებში ჩართულობა უფრო მეტად უწყობს ხელს ახალგაზრდებს შორის ნარკოტიკების მოხმარების გავრცელებასა და აზარტულ თამაშებში მათ მონაწილეობას. მეორე მხრივ, ინტერნეტის ინტენსიური მოხმარებით, შესაძლოა, მოწყვლად მოზარდებს მასზე დამოკიდებულება ჩამოუყალიბდეთ, რაც, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის თვალსაზრისით, განსაკუთრებით კი - პანდემიის პირობებში, მზარდი პრობლემაა.

საქართველოში ჯერჯერობით არ არის დანერგილი ფსიქოაქტიური საშუალებების მოხმარების პრევენციის ინსტიტუციური მექანიზმები და შესაბამისი სისტემა. ჯერჯერობით პრევენციული ღონისძიებებია მხოლოდ ფრაგმენტული, შიშზე დაფუძნებული ანტინარკოტიკული კამპანიები სკოლებსა თუ მედიაში და არასამთავრობო ორგანიზაციების მცირემასშტაბიანი, ხანმოკლე საპილოტე პროგრამები.<sup>16</sup> ამასთანავე, პრობლემაა მოზარდებისა და ახალგაზრდების შესაფერისი მხარდამჭერი, საკონსულტაციო და სამკურნალო სერვისების ნაკლებობა.

ამ ფაქტორის ძირითადი მიზეზებია: მოზარდების მხარდამჭერი, საკონსულტაციო და სამკურნალო სერვისების ნაკლებობა; პირველადი პრევენციის მუდმივი ინსტიტუციური მექანიზმების არარსებობა; პროსოციალური/მოხალისეობრივი საქმიანობით საზოგადოებრივ

<sup>15</sup> დაავადებათა კონტროლის ცენტრი „ალკოჰოლის, თამბაქოსა და სხვა ნარკოტიკული ნივთიერებების მოხმარების შემსწავლელი ევროპის სკოლების კვლევის პროექტი. ESPAD 2019 საქართველო.“

<https://test.ncdc.ge/Pages/User/News.aspx?ID=ad6b0c64-cc1f-4193-a5e6-aa8b83d42c18>

<sup>16</sup> ბესელია ა., გეგენავა ვ., კირთაძე ი., მღებრიშვილი თ., ოთიაშვილი დ., რაზმაძე მ., სტურუა ლ., ქუთელია ლ., ჯავახიშვილი ჯ., ნარკოვიტარება საქართველოში 2018, თბილისი 2019. -

[https://altgeorgia.ge/media/uploads/ნარკოვიტარება-საქართველოში-2018\\_final-1-.pdf](https://altgeorgia.ge/media/uploads/ნარკოვიტარება-საქართველოში-2018_final-1-.pdf)

აქტივობებში მონაწილეობის შესაძლებლობისა და წახალისების ნაკლებობა; ნივთიერებებზე დამოკიდებულების შესახებ ცნობიერების დაბალი დონე.

## 2.4 ახალგაზრდებში დანაშაულისა და ანტისოციალური ქცევის, მათ შორის, დისკრიმინაციის მაღალი დონე

ახალგაზრდების ძალადობა ზიანს აყენებს არა მხოლოდ მსხვერპლს, არამედ მათ ოჯახებს, მეგობრებსა და საზოგადოებას. არსებობს მჭიდრო კავშირი ახალგაზრდებს შორის ძალადობასა და ქვეყანაში ძალადობის სხვა შემთხვევებს შორის. მოძალადე ახალგაზრდებს ხშირად აქვთ სხვადასხვა სახის სოციალური და ფსიქოლოგიური პრობლემები.<sup>17</sup>

2020 წლის ოფიციალური მონაცემებით, ქვეყანაში, 14-29 წლის ასაკობრივი ჯგუფის 3 906 მსჯავრდებული იყო, 2021 წლის მონაცემებით- 4 724, ხოლო, 2022 წლის პირველი და მეორე კვარტლის მონაცემებით, 14-29 წლის ასაკობრივი ჯგუფის 2,770 მსჯავრდებულია.<sup>18</sup>

2022 წელს არასრულწლოვანთა რეფერირების ცენტრში გადამისამართდა კანონთან კონფლიქტში მყოფი ან/და რთული ქცევის მქონე 93 არასრულწლოვანი; 2022 წლის იანვარი-ივნისის მონაცემებით, განრიდებული იქნა 637 პირი (მათ შორის: 303 14-დან 18 წლამდე არასრულწლოვანი და 334 14-დან 18 წლამდე სრულწლოვანი). ამათგან, შედგა 276 მედიაციის საერთო შეხვედრა და 64% წარმატებით დასრულდა.<sup>19</sup>

ქვეყანაში განსაკუთრებით პრობლემატურია ახალგაზრდა ქალთა მიმართ ძალადობის საკითხიც. შემაკავებელი ორდერებით წარმოებული სტატისტიკის შესაბამისად, 2019 წელს 17-24 წლის ახალგაზრდა მსხვერპლი ქალების რაოდენობა 855-ია, ხოლო ამავე ასაკობრივი კატეგორიის მსხვერპლთა საერთო ჯამი 972 პირია.<sup>20</sup> ამასთანავე, ქალთა მიმართ ძალადობის ფორმები უფრო სასტიკია. ოჯახური ძალადობა ყველა სახის შეიძლება იყოს, დაწყებული ეკონომიკურით და დამთავრებული ფიზიკური თუ სექსუალური ძალადობით. მშობლებს შორის არსებული ძალადობრივი გარემო ოჯახში შესამჩნევ გავლენას ახდენს ბავშვების ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე.<sup>21</sup> უნდა აღინიშნოს, რომ ქალები გენდერული და სექსუალური ხასიათის შევიწროებას განიცდიან სამუშაო ადგილებზეც.

აღსანიშნავია ბავშვთა მიმართ ჩადენილი ძალადობის საკითხიც. 2020 წლის რვა თვის მონაცემებით (იანვარი-აგვისტო), საქართველოში დადასტურდა ბავშვთა მიმართ ძალადობის 1 146 ფაქტი, უფრო კონკრეტული სტატისტიკა კი ასეთია: ფსიქოლოგიური ძალადობა - 401, ფიზიკური ძალადობა - 256, უგულვებელყოფა -152, ოჯახში ძალადობა - 120, ადრეული ქორწინება/არასრულწლოვნის ორსულობა - 87, სექსუალური ძალადობა - 55, ეკონომიკური ძალადობა - 19, სუიციდის მცდელობა - 19, მიტოვება - 7, ბულინგი - 6, არასრულწლოვანთა კონფლიქტი - 6, კიბერბულინგი - 5, ფემიციდი - 5, იძულება - 3, ტრეფიკინგი - 2, ადევნება - 2, არამართლზომიერი გადაადგილება - 1.<sup>22</sup>

<sup>17</sup> ფრიდრიხ ებერტის ფონდი. (2017). თაობა გარდამავალ პერიოდში - ახალგაზრდობის კვლევა 2016 - საქართველო. <https://library.fes.de/pdf-files/bueros/georgien/13151-20170131.pdf>; The European Union for Georgia, GEOSTAT, and UN Women (2018) National Study on Violence Against Women in Georgia 2017, <https://georgia.un.org/sites/default/files/2020-05/national%20vaw%20study%20report%20eng.pdf>;

<sup>18</sup> საქსტატი 2020,2021,2022- <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/132/siskhlis-samartlis-statistika>

<sup>19</sup> სსიპ დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო, 2022.

<sup>20</sup> შინაგან საქმეთა სამინისტრო, 2019- <https://info.police.ge/uploads/603766002e592.pdf>

<sup>21</sup> The European Union for Georgia, GEOSTAT, and UN Women (2018) National Study on Violence Against Women in Georgia 2017, <https://georgia.un.org/sites/default/files/2020-05/national%20vaw%20study%20report%20eng.pdf>

<sup>22</sup> სსიპ სახელმწიფოს ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა სააგენტო, 2020.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ახალგაზრდები ხშირად განიცდიან დისკრიმინაციას მათი სქესის, სექსუალური ორიენტაციისა და შეზღუდული შესაძლებლობების გამო.

ამ ფაქტორის ძირითადი მიზეზებია: სიღარიბე და ეკონომიკური დაუცველობა, გენდერული ნიშნით ჩადენილი დანაშაული, უთანასწორობა, ფსიქოლოგიური/პიროვნული დარღვევები, ცნობიერების დაბალი დონე ადამიანის უფლებებისა და ინფორმაციის ნაკლებობა არსებული სერვისების შესახებ.

## 2.5 ბავშვთა/ადრეული ქორწინება და მოზარდთა ორსულობა

ბავშვთა ქორწინება საქართველოში გენდერულად განპირობებული ფენომენია. 2018 წლის მონაცემებით, 20-24 წლამდე ასაკის ქალების 13.9% დაქორწინდა 18 წლამდე, ხოლო 0.3% - 15 წლამდე. შედარებისათვის, 20-24 წლამდე ასაკის მამაკაცების მხოლოდ 0.5% იყო დაქორწინებული 18 წლამდე. ბავშვთა/ადრეული ქორწინება უფრო ხშირია სოფლად. 18 წლამდე დაქორწინებული ქალების პროპორციული მაჩვენებელი სოფლად 25%-ს შეადგენს, ხოლო ქალაქად - 8%-ს. ადრეული ქორწინება, უმეტესად, ნიშანდობლივია განათლების დაბალი დონისა და მწირი შემოსავლის მქონე ოჯახებისთვის. მოსახლეობის უღარიბეს ნაწილში 20-24 წლის ქალების 33% 18 წლამდე დაქორწინდა.<sup>23</sup> ამას გარდა, 2020 წლის იანვრიდან სექტემბრის ჩათვლით, საქართველოში არასრულწლოვანთა ქორწინებასთან დაკავშირებული დანაშაულის 95 შემთხვევა გამოვლინდა. აქედან 16 წელს მიუღწეველ პირთან სექსუალური კავშირის 48 ფაქტი გამოავლინეს. დადგინდა თავისუფლების უკანონო აღკვეთის 34 შემთხვევა, ხოლო ქორწინების იძულების 15 ფაქტი<sup>24</sup>.

მოზარდების მიმართ საზოგადოებაში დამკვიდრებულმა სტერეოტიპებმა ხელი შეუწყო ადრეული ქორწინების შემთხვევათა გახშირებას. მკაცრი ნორმები, რომლებიც ქორწინებამდე სექსს ტაბუდადებულად მიიჩნევს, განაპირობებს ადრეული ქორწინების, როგორც სექსუალური ურთიერთობის ალტერნატივის, ნორმად ქცევას. ნაადრევი ქორწინების ერთ-ერთი ხელშემწყობი ფაქტორია ახალი შესაძლებლობების (სწავლის, განვითარების, დასვენების) ნაკლებობა, განსაკუთრებით - სოფლად.

ამ ფაქტორის ძირითადი მიზეზებია: საზოგადოებაში გაბატონებული ისეთი ნორმები და სტანდარტები, რომლებიც ხელსაყრელია ნაადრევი ქორწინებისა და არასრულწლოვანთა ორსულობისთვის; სიღარიბე და ეკონომიკური დაუცველობა; ახალი შესაძლებლობების (სწავლის, განვითარების, დასვენების) ნაკლებობა.

## 2.6 ახალგაზრდების პერსონალურ მონაცემთა დაცვა

გარდა ამისა, დაბალია არასრულწლოვანთა ცნობიერება პერსონალური მონაცემების დამუშავების შესახებ. მათი პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების დარღვევამ შეიძლება გამოუსწორებელი ზიანი მიაყენოს ბავშვის განვითარებას, ფსიქიკასა და მომავალ ცხოვრებას. მნიშვნელოვანია არასრულწლოვანთა მიერ მონაცემების დამუშავების თაობაზე ნების გამოვლენის საკითხი, აგრეთვე ციფრული ეპოქის გათვალისწინებით, სოციალური მედიის კონტექსტში, სადაც ბავშვები აწყდებიან ისეთ პრობლემებს, როგორც არის კიბერბულინგი, ონლაინაღმკვეთა და პერსონალური მონაცემების მითვისება (identity theft)<sup>25</sup>.

<sup>23</sup> GeoStat & UNICEF. (2018). Multiple Indicator Cluster Survey Georgia 2018, Child marriage (women). <https://www.unicef.org/georgia/media/5866/file>

<sup>24</sup> შინაგან საქმეთა სამინისტრო, 2020.

<sup>25</sup> მონაცემთა დაცვის ევროპული სამართლის სახელმძღვანელო. 2018. <https://www.echr.coe.int/>

აღნიშნული პრობლემის გამომწვევ მირითად ფაქტორს წარმოადგეს ცნობიერების დაბალი დონე.

### 3. ახალგაზრდების ეკონომიკური გაძლიერებისთვის არასაკმარისი პირობები

ახალგაზრდების, როგორც ადამიანური კაპიტალის მთავარი განახლებადი წყაროს, პოტენციალის სრულად გამოსავლენად აუცილებელია მათი ეკონომიკური გაძლიერება.

ახალგაზრდებში განსაკუთრებით პრობლემატურია ფინანსური დამოუკიდებლობის საკითხი. კვლევის შედეგების მიხედვით, ახალგაზრდების 62%-ს ფინანსურად მშობლები ეხმარებიან. პირადი შემოსავალი უფრო ხელმისაწვდომია თბილისში, სადაც რესპონდენტების 35% აცხადებს, რომ აქვს პირადი შემოსავალი. სხვა ქალაქებში პირადი შემოსავალი აქვს ახალგაზრდების 27%-ს, ხოლო სოფლად ყოველ მეხუთე ახალგაზრდას. ყველაზე მნიშვნელოვანი კავშირი ფინანსურ ავტონომიურობასთან, როგორც მოსალოდნელი იყო, ჰქონდა ასაკს. ასაკის ზრდის პარალელურად, იკლებს მშობლებზე ფინანსური დამოკიდებულების მაჩვენებელიც (14-18 წლის ასაკობრივ კატეგორიაში რესპონდენტების 96% ფინანსურად დამოკიდებულია მშობლებზე; 19-24 წლის ასაკობრივ კატეგორიაში - 64%, ხოლო 25-29 წლის ასაკობრივ კატეგორიაში - 35%).<sup>26</sup>

ამ მიმართულებით პრობლემური საკითხებია:

#### 3.1. ახალგაზრდების არასაკმარისი შემოსავლები და ფინანსური დამოუკიდებლობის დაბალი დონე

2021 წლის მონაცემებით, უმუშევრობის დონე საქართველოში იყო 20.6%. 2020 წლის მონაცემებით, 15-19 და 20-24 წლის ახალგაზრდების უმუშევრობის მაჩვენებელი 43,9% და 38.3% იყო. 25-29 წლის ახალგაზრდების უმუშევრობის დონე იკლებს და 23.2%-მდე მცირდება, 15-29 წლის ასაკის მოსახლეობის უმუშევრობის ერთიანი მაჩვენებელი კი 30.7%-ია. 2020 წლის მონაცემებით, ხანგრძლივი დროით უმუშევარი (ერთი წელი და მეტი) ახალგაზრდების წილობრივი მაჩვენებელი 22.8%-ს უტოლდება. 2021 წლის მონაცემებით, 15-19 და 20-24 წლის ახალგაზრდების უმუშევრობის მაჩვენებელი შესაბამისად 52,2 % და 41 % იყო. 25-29 წლის ახალგაზრდების უმუშევრობის დონე იკლებს და 27.8%-ს შეადგენს.<sup>27</sup>

თანამეგობრობის სამდივნოს მიერ 2020 წელს გამოქვეყნებული ახალგაზრდობის განვითარების ინდექსის მიხედვით, საქართველო 181 ქვეყანას შორის 70-ე ადგილზე აღმოჩნდა (0,731 ქულა). ეს ინდექსი ზომავს ქვეყნის 15-29 წლის მოსახლეობის პროგრესს ექვს სფეროში: განათლება, დასაქმება და შესაძლებლობები, ჯანმრთელობა და კეთილდღეობა, თანასწორობა და ინკლუზია, პოლიტიკური და სამოქალაქო მონაწილეობა და მშვიდობა და უსაფრთხოება, რომელთაგან ერთ-ერთი ყველაზე ცუდი შედეგი სწორედ დასაქმების მიხედვით აღმოჩნდა.<sup>28</sup>

ახალგაზრდების დასაქმების დაბალი მაჩვენებლის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი დასაქმების ბაზართან დასაქმების უნარების შეუსაბამობაა. 2019 წლის კვლევის თანახმად, დამსაქმებლები აპლიკანტებისგან მოითხოვენ როგორც ტექნიკური, ისე გამჭოლი კომპეტენციების სრულყოფილად ფლობას. გამჭოლი უნარებია: კომუნიკაცია, თანამშრომლობა, გუნდური მუშაობა, ლიდერობა და პრობლემების გადაჭრა, ახალგაზრდა მუშახელი კი, დამსაქმებლის

<sup>26</sup> ფრიდრიხ ებერტის ფონდი. (2017). თაობა გარდამავალ პერიოდში - ახალგაზრდობის კვლევა 2016 - საქართველო. <https://library.fes.de/pdf-files/bueros/georgien/13151-20170131.pdf>

<sup>27</sup> საქსტატი 2020, 2021- <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/683/dasakmeba-umushevroba>

<sup>28</sup> Commonwealth. 2020. Global Youth Development Index. London: Commonwealth Secretariat 2021, 220. <https://youth-development-index.thecommonwealth.org/assets/pdf/global-youth-development-report-2020.pdf>

განცხადებით, არ გამოირჩევა პასუხისმგებლობის გრძნობით, მოტივაციითა და დისციპლინით.<sup>29</sup>

ETF-უნარების შეუსაბამობის კვლევის მიხედვით, საქართველოში შეინიშნება როგორც ზედმეტი, ასევე ნაკლები კვალიფიკაციის პრობლემა.<sup>30</sup> ხშირად დამსაქმებლები მხოლოდ პროფესიული საგანმანათლებლო საფეხურის კურსდამთავრებულ კანდიდატებს ეძებენ, თუმცა ვინაიდან საქართველოში უმაღლესი განათლების მქონეთა რაოდენობას სამუშაო ბაზარზე აღემატება ტექნიკური განათლების მქონე პირთა რაოდენობას, თავს იჩენს მეტისმეტად მაღალი კვალიფიკაციისა და ტექნიკური უნარების არმქონე კადრების სიჭარბე.<sup>31</sup> შედეგად, უნარების შეუსაბამობის გამო, ახალგაზრდების 35% თავისი პროფესიის შესაბამის პოზიციაზე არ მუშაობს.<sup>32</sup>

ბოლო წლების განმავლობაში მთავრობა აქტიურად მუშაობს შრომის ბაზრის აქტიური პოლიტიკის (ALMP) ინსტრუმენტების განვითარებაზე. ეს არის არაფორმალური საგანმანათლებლო აქტივობები, რომლებიც ემსახურება სხვადასხვა უნარისა და კომპეტენციის განვითარებას, კარიერის დაგეგმვას, სკოლიდან სამუშაოზე გადაყვანას.<sup>33</sup> არაფორმალური საგანმანათლებლო აქტივობები, ძირითადად, ხორციელდება სამოქალაქო ორგანიზაციების მიერ, რომლებიც ახალგაზრდებს ხანმოკლე მოსამზადებელ კურსებში რთავენ. არაფორმალური საგანმანათლებლო პოლიტიკა სუსტია და რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ შემოთავაზებული სამოქალაქო საგანმანათლებლო კურსებით შემოიფარგლება, რომელთაც რაიმე ტიპის საგანმანათლებლო ჩარჩო არ გააჩნია.<sup>34</sup>

ამ ფაქტორის ძირითადი მიზეზებია: აღნიშნული სერვისების ნაკლებად ხელმისაწვდომობა; იმ არაფორმალური საგანმანათლებლო შესაძლებლობების სიმწირე, რომლებიც დასაქმებისთვის საჭირო უნარების შეძენასა და განვითარებას უწყობს ხელს; ამასთანავე, სერვისები არ არის მორგებული ახალგაზრდების საჭიროებებს.

განსაკუთრებით აქტუალურია ახალგაზრდებისთვის დასაქმების არათანაბარი შესაძლებლობების საკითხი. 2021 წლის მონაცემებით მამაკაცების მონაწილეობა სამუშაო ძალაში 62.9%-ია მაშინ, როცა, იგივე მაჩვენებელი ქალების შემთხვევაში 40.5 %-ს შეადგენს.<sup>35</sup> სამუშაო ძალაში მონაწილეობის მონაცემებით ქალებსა და მამაკაცებს შორის განსხვავება, ახალგაზრდებშიც აშკარაა. ახალგაზრდა მამაკაცების დასაქმების დონე 2017 წელს - 13, 2018 წელს - 17, ხოლო 2019 წელს -15 პროცენტული პუნქტით მაღალი იყო ახალგაზრდა ქალების დასაქმების მაჩვენებელთან შედარებით, ხოლო 2020 წელს ახალგაზრდა მამაკაცების დასაქმების დონე 12 პროცენტული პუნქტით აღემატებოდა ქალების ანალოგიური მაჩვენებელს.<sup>36</sup> შრომით ბაზარზე მოსახლეობის დასაქმების ზრდაში ზოგადი და

<sup>29</sup> EU, Save The Children, Children and Youth National Fund. 2018 "Youth Focused, Gender-Sensitive Labor Market Assessment". [euneighbourseast.eu/wp-con](http://euneighbourseast.eu/wp-con)

<sup>30</sup> ETF. 2019. "ტურინის პროცესი 2018-2020 საქართველო." ეროვნული ანგარიში. [openspace.etf.europa.eu](http://openspace.etf.europa.eu)

<sup>31</sup> EU4Youth Project. 2019. "Good practices of youth employment, labour market and entrepreneurship based on the experiences of Poland, Estonia and the UK." Tbilisi. [euneighbourseast.eu](http://euneighbourseast.eu)

<sup>32</sup> ფრიდრიხ ებერტის ფონდი. (2017). თაობა გარდამავალ პერიოდში - ახალგაზრდობის კვლევა 2016 - საქართველო. <https://library.fes.de/pdf-files/bueros/georgien/13151-20170131.pdf>

<sup>33</sup> დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტო, 2019

<sup>34</sup> EU4Youth Project. 2019. "Good practices of youth employment, labour market and entrepreneurship based on the experiences of Poland, Estonia and the UK." Tbilisi. [euneighbourseast.eu](http://euneighbourseast.eu)

<sup>35</sup> საესტატი 2021- <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/683/dasakmeba-umushevroba>

<sup>36</sup> საესტატი, 2017,2018,2019,2020-<https://www.geostat.ge/ka/modules/categories/683/dasakmeba-umushevroba>  
შენიშვნა: „2017-2019 წლების მონაცემები შეესაბამება შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (შსო) ძველ სტანდარტით (შრომის სტატისტიკოსთა მე-13 საერთაშორისო კონფერენციაზე მიღებული), ხოლო

პროფესიული განათლებაც მნიშვნელოვან როლს თამაშობს. კვლევების თანახმად, მამაკაცებისა და ქალების აქტივობის დონე განათლების დონის ამაღლებასთან ერთად იზრდება, მაგრამ ზრდის დონე გაცილებით თვალშისაცემია მამაკაცებში. საშუალო დონის პროფესიული განათლების მქონე ქალებს დასაქმების ნაკლები შანსი აქვთ, ვიდრე ქალებს, რომლებმაც უმაღლესი განათლება მიიღეს.<sup>37</sup>

აღსანიშნავია, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები ახალგაზრდების (14-29 წლის ასაკობრივი ჯგუფი) 1.6%-ს შეადგენენ. მათ შორის, უმაღლესი განათლების მქონე შშმ ახალგაზრდების რაოდენობა მინიმალურია (1.4%-ს აქვს ბაკალავრის ხარისხი, 0.8%-ს - მაგისტრის ხარისხი). მათი უმეტესობა (97.5%), დიდი ხანია გამოდევნილია შრომის ბაზრიდან, რადგან ამ ჯგუფის წევრები სკეპტიკურად არიან განწყობილნი, აქვთ სამომავლო დასაქმების პერსპექტივის დაბალი მოტივაცია და ასახელებენ კონკრეტულ ბარიერებსაც - ნაკლებად ადაპტირებული სამუშაო და საგანმანათლებლო გარემო, არამეგობრული განწყობა და დასაქმების დაბალი შანსი მათი განათლების დონისა და დასაქმებისთვის აუცილებელი უნარ-ჩვევების ნაკლებობის გამო.<sup>38</sup>

საქართველოს მთავრობის 2020 წლის 10 სექტემბრის №573 დადგენილებით დამტკიცდა „სკოლის მიღმა დარჩენილი ბავშვების მონიტორინგის სახელმწიფო პროგრამა“, რამაც შესაძლებელი გახადა ჩართულ უწყებებს შორის მონაცემების გაცვლის საფუძველზე 6-16 წლის ასაკის სკოლის მიღმა დარჩენილი მოზარდების გამოვლენა. 2022 წლის 10 იანვრის მდგომარეობით, სკოლის მიღმა დარჩენილია 445 შშმ ბავშვი. 2021 წელს საშუალო სკოლის კურსდამთავრებულ 483 სსსმ/შშმ პირთაგან, მხოლოდ 54 პირი ჩაირიცხა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში.<sup>39</sup>

ამ ფაქტორის ძირითადი მიზეზებია: შრომის ბაზარზე მოთხოვნილი და მიწოდებული უნარების შეუსაბამობა; განათლების დონისა და დასაქმებისთვის აუცილებელი უნარ-ჩვევების ნაკლებობა; სხვადასხვა სოციალური ფაქტორი, გენდერული ნორმები, ჯანმრთელობის მდგომარეობა და ა.შ.

პროფესიული სასწავლებლების კურსდამთავრებულთა კვლევის შედეგად აღმოჩნდა, რომ დაქირავებული დასაქმებულების ერთი მეოთხედი (24%) შრომითი ხელშეკრულების გარეშე მუშაობს, ხელშეკრულების არსებობის შემთხვევაში ის, უმეტესწილად (30%), ერთი წლით ან ვადების გარეშე (25%) ფორმდება. ყოველკვირეული სამუშაო საათების საშუალო რაოდენობა 51-ია.<sup>40</sup> აღსანიშნავია, რომ ახალგაზრდების უმრავლესობა მუშაობს მომსახურებისა და ტურიზმის სექტორში, სადაც სამუშაო ადგილები, ძირითადად, დროებითი, სეზონური ან ნახევარგანაკვეთიანია.<sup>41</sup> ასევე გავრცელებულია აუნაზღაურებელი სტაჟირების პრაქტიკაც.

კვლევების მიხედვით, საქართველოს შრომის ბაზრის მთავარი დამახასიათებელი ნიშანია ის, რომ საწარმოები/ორგანიზაციები ახალი კადრების აყვანისას (შემთხვევების 44.9%) იყენებენ

---

2020 წლის შსო-ს ახალ სტანდარტებს (შრომის სტატისტიკოსთა მე-19 საერთაშორისო კონფერენციაზე მიღებული). არ არის შესაძარისი.“

<sup>37</sup> ETF. 2019. "ტურინის პროცესი 2018-2020 საქართველო." ეროვნული ანგარიში.

<https://openspace.etf.europa.eu>

<sup>38</sup> Save The Children. (2018). Youth-focused gender-sensitive Labor market assessment, (Kakheti, Shida Kartli, Samegrelo-Zemo Svaneti and Mtskheta Mtianeti) - <https://drive.google.com/file/d/1rKlhIRzfpjUF0tk-4wdcgIXrA6RAUkC/view?usp=sharing>

<sup>39</sup> საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი, 2020

<sup>40</sup> Save The Children. (2018). Youth-focused gender-sensitive Labor market assessment, (Kakheti, Shida Kartli, Samegrelo-Zemo Svaneti and Mtskheta Mtianeti) - <https://drive.google.com/file/d/1rKlhIRzfpjUF0tk-4wdcgIXrA6RAUkC/view?usp=sharing>

<sup>41</sup> EU4Youth Project. 2019. "Good practices of youth employment, labour market and entrepreneurship based on the experiences of Poland, Estonia and the UK." Tbilisi. <https://euneighbourseast.eu/>

არაფორმალური არხებს - მეგობრებს, ნათესავებს და ნაცნობებს.<sup>42</sup> ახალგაზრდები სამსახურის მოსაძებნად ხშირად იყენებენ არაფორმალურ კავშირებსა და პირად კონტაქტებს.<sup>43</sup>

ამ ფაქტორის ძირითადი მიზეზებია: საკუთარი შრომითი უფლებებისა და ფორმალიზებული ურთიერთობების უპირატესობის შესახებ ინფორმირებულობის დაბალი დონე; დამქირავებლებს შორის ფორმალური არხების გამოყენების ნაკლებად გავრცელებული პრაქტიკა.

### 3.2. ახალგაზრდებს შორის მეწარმეობის დაბალი დონე

საქართველოში ახალგაზრდული მეწარმეობა, ახალგაზრდების დასაქმების სფეროსაგან განსხვავებით, კარგად შესწავლილი არ არის, თუმცა მასთან დაკავშირებულ ზოგიერთ ასპექტზე დაყრდნობით შეიძლება დავასკვნათ, რომ საქართველოში მეწარმეობის დონე დაბალია. ერთ სულ მოსახლეზე მთლიანი შიდა პროდუქტის ანალოგიური დონის ქვეყნებში დასაქმებულთა დაახლოებით 5% მეწარმეა, საქართველოში კი ეს მაჩვენებელი მხოლოდ 1%-ია.<sup>44</sup> ასევე, საქართველოში სტარტაპ-კომპანიის გადარჩენის პირობითი მაჩვენებელი დაახლოებით 70%-ია, რაც ნიშნავს, რომ სამიდან ორი სტარტაპ-კომპანია ახერხებს გადარჩენას, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში კი ეს ინდიკატორი 90%-მდე აღწევს.<sup>45</sup> შესაბამისად, ახალგაზრდებს შორის მეწარმეობის შედარებით დაბალი დონის ერთ-ერთ მიზეზად შეიძლება სწორედ საწარმოების წარუმატებლობა დასახელდეს, რაც გამოწვეულია იმით რომ მეწარმეობა ბევრისთვის იძულებითი ნაბიჯია და არა - სრულფასოვანი კარიერული არჩევანი. საქართველოში ლატენტური მეწარმეების ანუ საკუთარი სურვილით თვითდასაქმებულების წილი შედარებით მცირეა. კვლევის მიხედვით, ახალგაზრდების წილი, რომელთაც ბიზნესის წამოწყების სურვილი აქვთ, 13%-ია, მაშინ, როცა 42% სასურველ სამსახურად საჯარო სექტორს ასახელებს. გარკვეული მიზეზების გამო საქართველოში დაქირავებით დასაქმება (განსაკუთრებით - საჯარო სამსახურში) უფრო სასურველია.<sup>46</sup> გრძელვადიანი და ბიზნეს დაგეგმარების უნარის ნაკლებობა, ტექნიკური, მარკეტინგული და გაყიდვების უნარების ნაკლებობა, რისკების შეფასების და დაგეგმვის არასაკმარისი დონე, და ინოვაციების მიღების სურვილის არ არსებობა, ყველა ერთად აფერხებს ბიზნეს ოპერაციების მართვის ეფექტურობას<sup>47</sup>, თუმცა ბოლო წლებში მეწარმეობასთან დაკავშირებული დამოკიდებულება საკმაოდ პოზიტიური გახდა, კარიერული არჩევანი დაფასებულია საზოგადოების მიერ და ბევრი ახალგაზრდა ადამიანი მიისწრაფის მეწარმეობისკენ.<sup>48</sup>

<sup>42</sup> საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო. (2017). უნარებზე საწარმოთა მოთხოვნის კვლევა.

<http://www.lmis.gov.ge/Lmis/Lmis.Portal.Web/Handlers/GetFile.ashx?Type=Content&ID=9f7ad5c1-6eac-44d7-a32a-d107478d4c7b>

<sup>43</sup> EU4Youth Project. 2019. "Good practices of youth employment, labour market and entrepreneurship based on the experiences of Poland, Estonia and the UK." Tbilisi. <https://euneighbourseast.eu/wp-content/uploads/2021/07/good-practices-of-youth-employment-labour-market-and-entrepreneurship-based-on-the-experiences-of-poland-estonia-and-the-uk.pdf>

<sup>44</sup> The World Bank, (2018). Georgia at Work: Assessing the Jobs Landscape, <https://openknowledge.worldbank.org/bitstream/handle/10986/29955/126461-WP-P165644-PUBLIC-GeorgiaIDPrinting.pdf?sequence=1&isAllowed=y>

<sup>45</sup> The World Bank. 2016.

<sup>46</sup> ფრიდრიხ ებერტის ფონდი. 2016. თაობა გარდამავალ პერიოდში. თბილისი: ფრიდრიხ ებერტის ფონდი <https://library.fes.de/pdf-files/bueros/georgien/13151-20170131.pdf>

<sup>47</sup> ახალგაზრდული სამეწარმეო საქმიანობის სტიმულირების კვლევა საქართველოში: დაბრკოლებების გააზრება და რეკომენდაციები რეფორმებისთვის, 2021, ISET პოლიტიკის ინსტიტუტი <https://www.ilo.org/>

<sup>48</sup> გლობალური მეწარმეობის მონიტორი: 2016-2017 საქართველო, ანგარიში.

საქართველოში სამართლებრივი ჩარჩოს ფარგლებში არ არის აღიარებული სოციალური მეწარმეობა. მიუხედავად იმისა, რომ სოციალურ საწარმო მოგებაზეა ორიენტირებული, მას აქვს სოციალური მისია და შეუძლია: სოციალური, კულტურული, საზოგადოებრივი, ეკონომიკური ან/და გარემოსთვის სასიკეთო შედეგების მოტანა. პარტნიორთა მოგება მეორეხარისხოვანია და სოციალურ ეფექტიანობას ემსახურება, რაც სოციალური საწარმოს მთავარი მიზანია.<sup>49</sup> ETF 2019 წლის კვლევის თანახმად, აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში სოციალური მეწარმეობის განვითარება ახალგაზრდებისთვის არის შესაძლებლობა, ჩაერთონ, მეწარმეობაში.<sup>50</sup>

ამ ფაქტორის ძირითადი მიზეზებია: რესურსებზე ახალგაზრდების შეზღუდული ხელმისაწვდომობა; სამეწარმეო პროგრამების შესახებ ნაკლები ინფორმირებულობა; ახალგაზრდების სამეწარმეო უნარების დაბალი დონე; საწარმოთა წარუმატებლობის მაღალი მაჩვენებელი. გარდა ზემოაღნიშნულისა, ძირითად მიზეზებს შორის არის სამეწარმეო სწავლების დაბალი დონე, მეწარმეობის ხელშემწყობი პროგრამების ნაკლები ორიენტაცია ახალგაზრდებზე, ფინანსების ნაკლებად ხელმისაწვდომობა, ინოვაციური და სტარტაპ-ეკოსისტემის დაფინანსების სიმწირე და სოციალური მეწარმეობის ნაკლები მხარდაჭერა.

ამ პრობლემების უარყოფითი შედეგია ახალგაზრდების შეზღუდული შემოსავალი და ნაკლები ფინანსური დამოუკიდებლობა, რაც ხელს უშლის ახალგაზრდების ეკონომიკურ გაძლიერებასა და მათი პოტენციალის გამოვლენას, რადგან ახალგაზრდების ეკონომიკური გაძლიერების მთავარი ინსტრუმენტი ღირსეული დასაქმება და მეწარმეობაა.

#### **4. საზოგადოებრივ ცხოვრებასა და დემოკრატიულ პროცესებში ახალგაზრდების მონაწილეობის დაბალი დონე**

საზოგადოებრივ ცხოვრებასა და დემოკრატიულ პროცესებში მონაწილეობა ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის ერთ-ერთი სახელმძღვანელო პრინციპია. აქტიური მონაწილეობა ახალგაზრდებს ეხმარება საკვანძო უნარ-ჩვევების განვითარებაში, ადამიანის უფლებებისა და მათი დაცვის მექანიზმების შესახებ ცოდნის გაღრმავებაში, სამოქალაქო უფლებებისა და ვალდებულებების ჯეროვნად გაცნობიერებაში, რაც დადებითად აისახება როგორც ახალგაზრდების, ისე ქვეყნის განვითარებაზე, თუმცა ბოლო დროს ჩატარებული კვლევის შედეგების თანახმად, ახალგაზრდების მონაწილეობის მაჩვენებელი დაბალია. 2021 წელს ჩატარებული კვლევის თანახმად, ყველა რეგიონში ახალგაზრდების უდიდესი ნაწილი არ მონაწილეობს ახალგაზრდებისთვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღების პროცესსა თუ სხვადასხვა სამოქალაქო აქტივობაში (აჭარა - 79%, მცხეთა-მთიანეთი - 72%, სამცხე-ჯავახეთი - 81%, ქვემო ქართლი - 88%).<sup>51</sup>

ამ სიტუაციის ანალიზის შედეგად გამოიკვეთა რამდენიმე პრობლემური საკითხი:

##### **4.1 ახალგაზრდების სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაბალი დონე**

სამოქალაქო პასუხისმგებლობის გაზიარებით მოქალაქეები იცავენ დემოკრატიულ ღირებულებებს. ეს ღირებულებებია: სამართლიანობა, თავისუფლება, თანასწორობა, მრავალფეროვნება, უფლებამოსილება, კონფიდენციალურობა, საკუთრება, მონაწილეობა, სამართლიანობა, პატრიოტიზმი, ადამიანის უფლებები, კანონის უზენაესობა, შემწყნარებლობა, ურთიერთდახმარება, თვითშეზღუდვა და საკუთარი თავის პატივისცემა. სკოლებში სამოქალაქო განათლების მიზანია, რომ ახალგაზრდები აღიზარდონ

<sup>49</sup> CSRDG <https://www.segeorgia.org/>

<sup>50</sup> ETF. 2019. "ტურინის პროცესი 2018-2020 საქართველო." ეროვნული ანგარიში.

<https://openspace.etf.europa.eu/sites/default/files/2020-09/TRPreport%202019%20Georgia%20GE.pdf>

<sup>51</sup> ახალგაზრდების საჭიროებები და გამოწვევები მუნიციპალურ და რეგიონულ დონეზე; ახალგაზრდობის სააგენტო, 2021- [youthagency.gov.ge](http://youthagency.gov.ge)

პასუხისმგებლობის მქონე ადამიანებად და საზოგადოების აქტიურ წევრებად.<sup>52</sup> საქართველოში სამოქალაქო აქტივიზმი, ძირითადად, პოლიტიკასთან, პროტესტთან და ქუჩის აქციებთან არის გაიგივებული. 2017 წელს ჩატარებული რაოდენობრივი კვლევის თანახმად, კვლევაში მონაწილე სტუდენტების (21-26 წლის ახალგაზრდები) 42,6%-ს არასდროს განუხორციელებია სათემო აქტივობა, 23% კი მსგავს აქტივობებში მონაწილეობდა ბოლო ერთი წლის განმავლობაში. რესპონდენტთა პასუხების განხილვისას აღმოჩნდა, რომ გამოკითხულ სტუდენტთაგან სამოქალაქო აქტივობებში ორჯერ მეტი მამრობითი სქესის ახალგაზრდა მონაწილეობდა. რესპონდენტების 67% არ არის საზოგადოებრივი ორგანიზაციის წევრი. ასეთი ორგანიზაციებით უფრო მეტად მდებარეობითი სქესის სტუდენტები ინტერესდებიან, მათი 36% მსგავსი გაერთიანების წევრია, მამრობითი სქესის სტუდენტების ანალოგიური მაჩვენებელი კი მხოლოდ 28%-ია. გამოკითხული ახალგაზრდების უმრავლესობისთვის სამოქალაქო აქტივიზმი არ ნიშნავს მასშტაბურ საქმიანობას. ამის მაგალითებად ისინი ასახელებენ ქუჩაში უცნობი ადამიანების დახმარებას, არჩევნებზე ხმის მიცემას, დასუფთავების აქციას და ა.შ. რაც შეეხება საქართველოში განხორციელებული სამოქალაქო აქტივიზმის თვალსაჩინო მაგალითებს, რესპონდენტების უმრავლესობამ დაასახელა გარემოს დაცვასთან დაკავშირებული აქტივობები: პარტიზანული მეზღვრობა, დასუფთავების აქციები, მასობრივი აქციები ტყიბულში, ჭიათურაში, პროტესტი მცენარეების გადარგვასთან დაკავშირებით, 13 ივნისის მოვლენები და ა.შ. ბევრი მაგალითი ეხებოდა პოლიტიკურ საკითხებსაც. გამოკითხული სტუდენტების უმრავლესობა სამოქალაქო აქტივიზმში გულისხმობს საზოგადოებრივ პროცესებში თანამონაწილეობას და არა - ინიციატორობასა თუ აქტიურ მოქმედებას.<sup>53</sup>

ამ ფაქტორის ძირითადი მიზეზებია: სამოქალაქო პასუხისმგებლობის ვიწრო სპექტრში გააზრება და ახალგაზრდების მოტივაციის დაბალი დონე.

#### 4.2 მოხალისეობრივ საქმიანობაში ახალგაზრდების მონაწილეობის დაბალი მაჩვენებელი

საქართველოში პრობლემაა როგორც მოხალისეობრივი აქტივობების ნაკლებობა და მათში მონაწილე ახალგაზრდების სიმცირე, ასევე შიდა და საერთაშორისო მობილობის პროგრამებში ახალგაზრდების იშვიათად ჩართვა. მაგალითად, 2020 წელს გამოკითხული ახალგაზრდების უმრავლესობის (65%) განცხადებით, გასული 12 თვის განმავლობაში მოხალისეობრივ აქტივობებში მონაწილეობა არ მიუღია. ახალგაზრდების დაახლოებით მესამედი (31%) აცხადებს, რომ საქართველოში განხორციელებულ მოხალისეობრივ აქტივობებში მონაწილეობა მიუღია, 2% ამბობს, მონაწილეობა საზღვარგარეთ მოხალისეობრივ აქტივობებში აქვს მიღებული, ასევე 2%-ის მიხედვით მოხალისე ყოფილა როგორც საქართველოში, ისე - საზღვარგარეთ.<sup>54</sup> 2021 წლის მონაცემებით, განსაკუთრებით დაბალია ეს მაჩვენებელი ქვემო ქართლში, სადაც ათიდან შვიდ ახალგაზრდას მსგავს აქტივობაში მონაწილეობის გამოცდილება არ აქვს ბოლო 1-2 წლის მანძილზე (აჭარა - 65%, მცხეთა-მთიანეთი - 51%, სამცხე-ჯავახეთი - 59%, ქვემო ქართლი - 71%).<sup>55</sup> ახალგაზრდები აღნიშნულის მთავარ მიზეზებად ყველგან ასახელებენ იმას, რომ არ სმენიათ მსგავსი აქტივობების შესახებ, ვერ მოიკალეს ან არ ჰქონდათ სურვილი; საერთაშორისო პრაქტიკის თანახმად, შიდა და საერთაშორისო მობილობის პროექტებში მონაწილე ახალგაზრდები ერთხმად აღნიშნავენ აქ მიღებული გამოცდილების დადებით გავლენას მათ კომპეტენციაზე, ქცევასა და

<sup>52</sup> *Promoting Active Citizenship, CURE, 2019, Tbilisi; [Cure.erasmus-plus.org](http://Cure.erasmus-plus.org)*

<sup>53</sup> *სამოქალაქო აქტივიზმის მნიშვნელობა საქართველოს სტუდენტებისთვის, CURE, 2017; [Cure.erasmus-plus.org](http://Cure.erasmus-plus.org)*

<sup>54</sup> *ახალგაზრდების საჭიროებების, გამოწვევების, ინტერესების და რესურსების კვლევა, ახალგაზრდობის სააგენტო 2020; [youthagency.gov.ge](http://youthagency.gov.ge)*

<sup>55</sup> *ახალგაზრდების საჭიროებები და გამოწვევები მუნიციპალურ და რეგიონულ დონეზე; ახალგაზრდობის სააგენტო, 2021- [youthagency.gov.ge](http://youthagency.gov.ge)*

ფასეულობებზე. ასეთ პროექტებში მონაწილეობა განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია ნაკლები შესაძლებლობის მქონე ახალგაზრდებისთვის.<sup>56</sup>

მოხალისეობრივი აქტიურობა, ჩვეულებრივ, ნაკლებად ხელმისაწვდომია სოფლად მცხოვრები ახალგაზრდებისთვის, რადგან, შესაძლოა, მათ წინაშე უფრო მწვავედ იდგეს ისეთი პრობლემები, როგორც არის ფინანსების ნაკლებობა, ტრანსპორტირება, ჯანმრთელობის მდგომარეობა და სხვა. მობილობის პროექტებში ახალგაზრდების აქტიურ მონაწილეობაზე ნეგატიურ გავლენას ახდენს ტექნოლოგიების შეზღუდული ხელმისაწვდომობა და ციფრული კომპეტენციის ნაკლებობაც.<sup>57</sup>

ამ ფაქტორის ძირითადი მიზეზებია: ხარისხიანი და მრავალფეროვანი მოხალისეობის პროგრამების სიმცირე, სათანადო საკანონმდებლო ბაზის, სტანდარტების, წამახალისებელი, აღიარებისა და პოპულარიზაციის მექანიზმების ნაკლებობა და მოხალისეობრივი საქმიანობის შესახებ ცნობიერების დაბალი დონე, მობილობის შესაძლებლობების შესახებ ინფორმაციის სიმცირე, მობილობის პროგრამებში მონაწილეობისთვის საჭირო სუსტად განვითარებული კომპეტენციები და მხარდამჭერი პროგრამების სიმცირე.

#### **4.3 გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ახალგაზრდების მონაწილეობის დაბალი მაჩვენებელი.**

2020 წლის მონაცემებით, მუნიციპალიტეტებში ახალგაზრდებთან დაკავშირებულ საკითხებზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში, ბოლო 12 თვის მანძილზე, საქართველოს რეგიონებში მცხოვრები ახალგაზრდების მხოლოდ 8% მონაწილეობდა.<sup>58</sup> აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ახალგაზრდების მონაწილეობის ხელშეწყობისთვის მუნიციპალიტეტებს მნიშვნელოვანი ფუნქციის შესრულება შეუძლიათ მაშინაც კი, როცა ეს არ არის მათი პირდაპირი ვალდებულება.

სამოქალაქო ჩართულობის ფორმებია: საჯარო შეხვედრებზე დასწრება, ინტერნეტსივრცეში აქტიურობა და პეტიციების მომზადება. კავკასიის ბარომეტრის 2019 წლის მონაცემების თანახმად, წინა ხუთი წლის მანძილზე 19.7%-დან 27.1%-მდე გაიზარდა იმ ახალგაზრდების (18-29 წლების ასაკობრივი ჯგუფი) რაოდენობა, რომლებიც ბოლო ექვსი თვის განმავლობაში მონაწილეობდნენ საჯარო შეხვედრებში.<sup>59</sup> რაც შეეხება არჩევნებში მონაწილეობას, ახალგაზრდების 56% თვლის, რომ მათი ხმა გავლენას ახდენს პოლიტიკური არჩევნების შედეგებზე.<sup>60</sup>

ახალგაზრდები არ ელიან, რომ მათ ინიციატივებს მხარს დაუჭიროებინა გადაწყვეტილების მიმღები პირები, ან თუნდაც ის ახალგაზრდები, რომელთაც ეს ინიციატივები უშუალოდ ეხებათ. საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ ახალგაზრდები ნაკლებად აქტიურობენ და ინიციატივას გადაწყვეტილების მიმღები პირებისგან ელოდებიან. ახალგაზრდებს ასევე

<sup>56</sup> IBF International Consulting. 2014. Evaluation of the Eastern Partnership Youth in Action Window. Final Report, EU. <https://neighbourhood-enlargement.ec.europa.eu/system/files/2019-01/20150202-evaluation-youth-in-action.pdf>

<sup>57</sup> სახელმწიფოს ახალგაზრდული პოლიტიკის მონიტორინგისა და განვითარების სამუშაო ჯგუფი, 2019

<sup>58</sup> ახალგაზრდების საჭიროებების, გამოწვევების, ინტერესების და რესურსების კვლევა, ახალგაზრდობის სააგენტო 2020; [youthagency.gov.ge](http://youthagency.gov.ge)

<sup>59</sup> კავკასიის ბარომეტრი საქართველო, 2019 <https://caucasusbarometer.org/ge/cb2019ge/ACTPBLM/>

<sup>60</sup> ფრიდრიხ ებერტის ფონდი. 2016. თაობა გარდამავალ პერიოდში. (თბილისი: ფრიდრიხ ებერტის ფონდი) <https://library.fes.de/pdf-files/bueros/georgien/13151-20170131.pdf>

მიაჩნიათ, რომ ნაკლებად აქვთ ინფორმაცია დაგეგმილ აქტივობებზე, რაც მნიშვნელოვნად აბრკოლებს მათ მონაწილეობას სამოქალაქო პროცესებში.<sup>61</sup>

ახალგაზრდების აქტიურობის ხელშემწყობი მექანიზმებისა და პლატფორმების სიმცირე და კომპეტენციების განვითარების შესაძლებლობების შეზღუდული ხელმისაწვდომობაც აფერხებს ახალგაზრდული პოლიტიკის დაგეგმვის, განხორციელებისა და მონიტორინგის პროცესში მათ მონაწილეობას.

ამ ფაქტორის ძირითადი მიზეზებია: კომპლექსური მიდგომის (RMSOS) არარსებობა, ახალგაზრდების მონაწილეობის ხელშემწყობი პლატფორმებისა და მექანიზმების სიმცირე, ერთი მხრივ - ინფორმაციის და, მეორე მხრივ, მონაწილეობისთვის საჭირო კომპეტენციის, ასევე - დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ განათლების მიღების შესაძლებლობის ნაკლებობა.

#### **4.4 ახალგაზრდული ორგანიზაციებისა და საინიციატივო ჯგუფებისთვის ნაკლებად ხელმისაწვდომი სახელმწიფოს მხარდაჭერა**

არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის კვლავაც მნიშვნელოვანი გამოწვევაა ორგანიზაციული შესაძლებლობების განვითარება და მდგრადობა. საქართველოში ახალგაზრდული ორგანიზაციების მდგომარეობის შესახებ 2021 წელს ჩატარებული ონლაინ კვლევის შედეგების თანახმად, პროექტის განსახორციელებლად დაფინანსება მიუღია რაოდენობრივ კვლევაში მონაწილე 76 ახალგაზრდული ორგანიზაციების 91%-ს. ეს დაფინანსება მიღებულია საერთაშორისო დონორი ორგანიზაციებისგან (77%), ადგილობრივი დონორი ორგანიზაციებისგან (55%), სახელმწიფო ორგანიზაციისგან (54%), უცხო ქვეყნის სახელმწიფო ორგანიზაციისგან (26%) და კერძო სექტორისგან (22%). ადგილობრივი ხელისუფლების ხელთ არსებული მწირი რესურსები ხშირად არ არის საკმარისი, რომ ახალგაზრდულმა ორგანიზაციებმა შეძლონ აქტიური მონაწილეობა ახალგაზრდული პოლიტიკის განხორციელებაში.<sup>62</sup>

ჩამოთვლილი პრობლემები მნიშვნელოვნად აბრკოლებს ქვეყანაში ახალგაზრდული ორგანიზაციების განვითარებას; აფერხებს ახალგაზრდების სამოქალაქო მოტივაციის გაძლიერებას; ორგანიზაციულ ჯგუფებში, განსაკუთრებით კი - რეგიონებში, ახალგაზრდების ჩართულობას; ხელს უშლის ახალგაზრდული მიმართულების ქოლგა ორგანიზაციების გაძლიერებას, ეს ყოველივე კი საგრძნობლად ზღუდავს ქვეყანაში ახალგაზრდული სექტორის განვითარებას.<sup>63</sup>

ამ ფაქტორის ძირითადი მიზეზებია: სახელმწიფო საგრანტო პროგრამების სიმცირე და ნაკლები მოქნილობა.

#### **4.5 საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები ახალგაზრდებისთვის სერვისებზე ხელმისაწვდომობის ნაკლებობა**

საქართველოს განუყოფელი ტერიტორიების - აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის რუსეთის ფედერაციის მიერ უკანონო ოკუპაცია და იქ შექმნილი მძიმე ჰუმანიტარული და უფლებრივი მდგომარეობა სავალალოდ აისახება ადგილობრივი მოსახლეობის, მათ შორის -

<sup>61</sup> ფრიდრიხ ებერტის ფონდი. (2020). ახალგაზრდული პოლიტიკის განხორციელება ადგილობრივ დონეზე: იმერეთი და თბილისი. <http://library.fes.de/pdf-files/bueros/georgien/15958.pdf>

<sup>62</sup> ახალგაზრდული ორგანიზაციების მდგომარეობა საქართველოში, კვლევის ანგარიში, თბილისი, 2020-2021; <https://youthplatform.gov.ge/>

<sup>63</sup> ევროპის ფონდი. 2018. "სახელმწიფოს მიერ სამოქალაქო სექტორის დაფინანსება: საქართველოს რეალობა და გამოწვევები." <https://epfound.ge/static/file/202112021335-cso-public-funding-geo.pdf>

ახალგაზრდების ყოველდღიურ ცხოვრებაზე, ზღუდავს მათ ფუნდამენტურ უფლებებს და ხელს უშლის განვითარების შესაძლებლობას.

ოკუპირებულ რეგიონებში მცხოვრებ ახალგაზრდობას უჭირს მაღალი დონის განათლების მიღება, რადგან სასწავლო პროცესი არ მიმდინარეობს თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. განსაკუთრებული სირთულეა მშობლიურ ენაზე განათლების მიღების აკრძალვა, რაც ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას და საერთაშორისო კონვენციებს. სასწავლო პროცესი მთლიანად რუსულენოვანია, გალისა და ახალგორის რაიონების რამდენიმე სკოლაში კი მშობლიური ქართული ისწავლება, როგორც უცხო ენა. ხშირად ახალგაზრდები, რომლებმაც არ იციან რუსული ენა, ვერ ახერხებენ სასწავლო პროგრამის ათვისებას, რაც მეტისმეტად აფერხებს განათლების მიღების პროცესს და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლის გაგრძელებას. მშობლიურ ენაზე განათლების მიღებისთვის კიდევ ერთი დაბრკოლებაა საოკუპაციო რეჟიმის მიერ თავისუფალ გადაადგილებაზე დაწესებული მკაცრი შეზღუდვები, მათ შორის - გამყოფი ხაზის გასწვრივ მავთულხლართებისა და სხვა ხელოვნური ბარიერების აღმართვა, ე.წ. გადასასვლელი პუნქტების ხანგრძლივად ჩაკეტვა და უკანონო დაკავების პრაქტიკა, რის გამოც ოკუპირებულ რეგიონებში მცხოვრები ახალგაზრდები ვერ ახერხებენ განათლების მისაღებად საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე თავისუფლად გადმოსვლას. განათლების უფლების უხეშ დარღვევასთან ერთად, მსგავსი უკანონო ქმედებები საფრთხეს უქმნის ახალგაზრდების ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს, ვინაიდან უზღუდავს მათ კვალიფიციური სამედიცინო მომსახურების მიღების საშუალებას.

ამასთან ერთად, ოკუპირებულ რეგიონებში, განსაკუთრებით - გალისა და ახალგორის რაიონებში მცხოვრები ახალგაზრდები მუდმივად განიცდიან ეთნიკური ნიშნით დისკრიმინაციასა და ზეწოლას, რაც სხვადასხვა ფორმით გამოიხატება.

ამ ფაქტორის უარყოფითი შედეგია სამოქალაქო პასუხისმგებლობისა და დემოკრატიული კულტურის კომპეტენციის დაბალი დონე.

## **5. სახელმწიფოს ახალგაზრდული პოლიტიკის ნაკლებად ეფექტიანი კოორდინაცია**

„საქართველოს სახელმწიფოს ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარების სამოქმედო გეგმის (2015-2020 წწ.)“ შეფასების პროცესში 207 პროგრამიდან 59 პროგრამის შესახებ ინფორმაციის მოპოვება ვერ მოხერხდა. შეჩერებული ან განუხორციელებელი აღმოჩნდა 42 პროგრამა.

მსგავსი შედეგების თავიდან აცილების, ახალგაზრდული სფეროს ფუნქციური გარემოს შექმნის, ქვეყნის მასშტაბით ეფექტიანი და მონაწილეობრივი ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარების ხელშეწყობის მიზნით მნიშვნელოვანია ახალგაზრდული პოლიტიკის მართვის სისტემის გაუმჯობესება.

ამ მიმართულებით სიტუაციის ანალიზის შედეგად გამოიკვეთა შემდეგი პრობლემური საკითხი:

### **5.1 ახალგაზრდული პოლიტიკის მართვის არაეფექტიანი სისტემა**

სახელმწიფო უწყებებს შორის ჰორიზონტალური და ვერტიკალური საკოორდინაციო მექანიზმების ნაკლებობა მნიშვნელოვნად აფერხებს ახალგაზრდული პოლიტიკის განხორციელების პროცესს. სხვადასხვა ახალგაზრდული ორგანიზაციის მოსაზრებით, მდგომარეობის გასაუმჯობესებლად მნიშვნელოვანია უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს რეფორმირება და გაძლიერება, რაც ხელს შეუწყობს ახალგაზრდული პოლიტიკის წარმართვისას კოორდინირებულ მოქმედებას. ასევე საჭიროა თანამმართველობის სისტემაზე

დაფუძნებული ახალგაზრდული პოლიტიკის კოორდინირების მექანიზმების განვითარება.<sup>64</sup> ამასთან ერთად, ახალგაზრდებისთვის პრიორიტეტულ საკითხთა განსაზღვრისათვის კვლევის მეთოდს 64 მუნიციპალიტეტიდან მხოლოდ 11 იყენებს, ხოლო საკონსულტაციო მექანიზმი - საზოგადოებრივი შეხვედრების გამართვა - მხოლოდ 23 მუნიციპალიტეტშია დანერგილი.<sup>65</sup> 2020 წლის მონაცემებით, ახალგაზრდების უმრავლესობა (66%) აცხადებს, რომ გასული 12 თვის განმავლობაში მუნიციპალიტეტში ახალგაზრდებთან დაკავშირებულ საკითხებზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობა არ მიუღია. მათგან 48%-ს წარმოადგენს 14-17 წლის ახალგაზრდები, 36% - 18-25 წლის ახალგაზრდები, ხოლო 17%-ს - 26-29 წლის ახალგაზრდები.<sup>66</sup>

ამ ფაქტორის ძირითადი მიზეზებია: არაქმედითი უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭო; მონიტორინგისა და შეფასების არცთუ გამართული სისტემა; ახალგაზრდული პოლიტიკის შემუშავების, განხორციელებისა და მონიტორინგის/შეფასების პროცესში ახალგაზრდებისა და ახალგაზრდული ორგანიზაციების მონაწილეობის დაბალი მაჩვენებელი; ახალგაზრდულ საკითხებთან დაკავშირებული განმეორებადი კვლევების ნაკლებობა; ახალგაზრდული პოლიტიკისა და ახალგაზრდების უფლებების შესახებ ცნობიერების დაბალი დონე.

პრობლემის უარყოფითი შედეგია ნაკლებად ეფექტიანი ახალგაზრდული პოლიტიკა.

## 2. ხედვა

სახელმწიფო ახალგაზრდებისთვის და ახალგაზრდებთან ერთად ქმნის მათი, როგორც დამოუკიდებელი ინდივიდებისა და საზოგადოების სრულფასოვანი წევრების განვითარების მხარდამჭერ გარემოს, სადაც შესაძლებელია ახალგაზრდების, როგორც ინდივიდებისა და ქვეყნის ადამიანური კაპიტალის მთავარი განახლებადი წყაროს, პოტენციალის სრულად გამოყენება, მათი მრავალმხრივი განვითარება, სოციალურ-ეკონომიკური კეთილდღეობის მიღწევა და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში სრულფასოვანი მონაწილეობა.

ამ მიზნით მნიშვნელოვანია, გარემო ადრეული ასაკიდან (6-13 წლის ასაკობრივი ჯგუფი) ხელს უწყობდეს პიროვნების განვითარებასა და ახალგაზრდების (14-29 წლის ასაკობრივი ჯგუფი) აქტიურობას, მათი ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის დაცვას, ეკონომიკურ გაძლიერებასა და მათთვის ინფორმაციის, რესურსებისა და განვითარების შესაძლებლობათა თანაბარ ხელმისაწვდომობას მთელი ქვეყნის მასშტაბით. ასევე, ახალგაზრდების განსავითარებლად ქმნიდეს მნიშვნელოვან ფუნდამენტს და ისეთ პირობებს, რომლებიც აღიარებს და სრულყოფს მათ, როგორც სრულუფლებიან მოქალაქეებს, რომლებსაც სათანადო წვლილი შეაქვთ საზოგადოების ჯანსაღ თანაცხოვრებასა და წინსვლაში.

ახალგაზრდული სფეროს ფუნქციური გარემოს შექმნა მოითხოვს თანამიმდევრულ პოლიტიკას; სახელმწიფო და მუნიციპალური ახალგაზრდული პოლიტიკების ჰარმონიზაციას; მართვისა და კოორდინაციის ისეთი მექანიზმების შემუშავებას, რომლებიც ხელს შეუწყობს ყველა დაინტერესებული მხარის ეფექტიან მონაწილეობას როგორც ცენტრალურ, ისე რეგიონებისა და მუნიციპალიტეტების დონეზე.

<sup>64</sup> გოგოლაძე ნ., & ფრასი მ., (2019). საქართველოში ახალგაზრდული პოლიტიკის მართვისა და კოორდინირების რეკომენდაციები. მმართველობის რეფორმის ფონდი (UNDP-GCRF).

<https://web-api.parliament.ge/storage/files/shares/Komitetebi/sporti/samush-jgufi/mart-rekom.pdf>

<sup>65</sup> ახალგაზრდობის სააგენტო. (2020). მუნიციპალური ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარების მიმართულებით პრიორიტეტული საკითხების კვლევა;

<sup>66</sup> ახალგაზრდების საჭიროებების, გამოწვევების, ინტერესების და რესურსების კვლევა, ახალგაზრდობის სააგენტო 2020; [youthagency.gov.ge](http://youthagency.gov.ge)

სტრატეგიის თანახმად, 2026 წლისთვის საქართველოში შეიქმნება ახალგაზრდული სფეროს ფუნქციური გარემო, რომელიც ხელს შეუწყობს თითოეული ახალგაზრდის პოტენციალის სრულად გამოვლენას, ეკონომიკურ გაძლიერებასა და ქვეყნის განვითარების პროცესში აქტიურ მონაწილეობას.

### **სექტორული პრიორიტეტები**

„2020-2030 წლებისთვის საქართველოს ახალგაზრდული პოლიტიკის კონცეფციის“, საერთაშორისო გამოცდილების, სიტუაციის ანალიზის, 2014 წლის „საქართველოს ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტის“ შესრულებით მიღებული გამოცდილების გათვალისწინებით, სახელმწიფოს ახალგაზრდული სტრატეგიის უწყებათაშორის სამუშაო ჯგუფთან კონსულტაციითა და მათთან შეთანხმებით განისაზღვრა 2023-2026 წლების პერიოდში სახელმწიფოს ახალგაზრდული სტრატეგიის შემდეგი სექტორული პრიორიტეტები:

1. ახალგაზრდების განვითარებისა და მათი პოტენციალის გამოვლენის ხელშეწყობი ფაქტორების გაძლიერება;
2. ახალგაზრდების ჯანმრთელობის დაცვისა და კეთილდღეობისთვის ხელსაყრელი პირობების შექმნა;
3. ახალგაზრდების ეკონომიკური გაძლიერების ხელშეწყობა;
4. საზოგადოებრივ ცხოვრებასა და დემოკრატიულ პროცესებში ახალგაზრდების სრულფასოვანი მონაწილეობისთვის შესაბამისი პირობების შექმნა;
5. სახელმწიფოს ახალგაზრდული პოლიტიკის ეფექტიანი კოორდინაცია.

ეს პრიორიტეტები დაკავშირებულია „2020-2030 წლებისთვის საქართველოს ახალგაზრდული პოლიტიკის კონცეფციით“ განსაზღვრულ სტრატეგიულ პრიორიტეტებთან და მომავალი ოთხი წლის მანძილზე ამ მიმართულებით განხორციელებული აქტივობები განაპირობებს კონცეფციით გათვალისწინებული შუალედური შედეგების მიღწევას.

### **3. სტრატეგიის მიზნები და ამოცანები**

#### **სტრატეგიული მიზანი 1: ახალგაზრდების განვითარებისა და მათი პოტენციალის გამოვლენის ხელშეწყობა**

ახალგაზრდების განვითარებისა და მათი პოტენციალის გამოვლენის ხელშეწყობისთვის, ახალგაზრდებს სჭირდებათ საკვანძო კომპეტენციების განვითარება და გამოცდილების დაგროვება სხვადასხვა გარემოში, იქნება ეს ოჯახი, სწავლა თუ გართობა. ეს დაეხმარება მათ პირადი, სამოქალაქო და პროფესიული ცხოვრების მიმართ პასუხისმგებლობის გათვითცნობიერებაში.

მნიშვნელოვანია, არსებობდეს შესაბამისი სერვისები, რომლებიც შეავსებს ფორმალურ განათლებას (ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი) და ხელს შეუწყობს ახალგაზრდის მრავალმხრივ განვითარებას. ასეთ შესაძლებლობას, შესაძლოა, მიეკუთვნებოდეს ახალგაზრდული საქმიანობა და არაფორმალური განათლება (მათ შორის - ჰობი-ინტერესებზე დაფუძნებული განათლება), რეკრეაციული პროგრამები, საინფორმაციო და საკონსულტაციო სერვისები და სხვა. ამ შესაძლებლობებზე ხელი უნდა მიუწვდებოდეს ყველა ახალგაზრდას, რათა წარმატებულად გაიარონ ზრდასრულობაში გარდამავალი პერიოდი და აქტიურად ჩაერთონ სამოქალაქო და პროფესიულ ცხოვრებაში.

ეს მიზანი პირდაპირ არის დაკავშირებული გაეროს მდგრადი განვითარების მე-4 მიზანთან („ინკლუზიური და თანასწორი განათლების უზრუნველყოფა და უწყვეტი სწავლის

შესაძლებლობის შექმნა ყველასათვის”) და „2020-2030 წლებისთვის საქართველოს ახალგაზრდული პოლიტიკის კონცეფციის“ მე-2 პრიორიტეტთან („ახალგაზრდების განვითარებისა და მათი პოტენციალის რეალიზების ხელშეწყობა“).

ამ მიზნის მიღწევით საქართველოში ბავშვებისა და ახალგაზრდებისთვის უფრო ხელმისაწვდომი გახდება ხარისხიანი არაფორმალური განათლება და ახალგაზრდული საქმიანობის პროგრამები, ასევე, საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით, დაინერგება და განვითარდება ახალგაზრდული მუშაკის პროფესია.

### **ამოცანა 1.1 არაფორმალური განათლებისა და ახალგაზრდული საქმიანობის განვითარების ხელშეწყობა**

ახალგაზრდებისთვის არაფორმალური განათლება და ახალგაზრდული საქმიანობა მნიშვნელოვანია, როგორც მათი პიროვნული განვითარების, ასევე სწავლიდან დასაქმებაზე გადასვლის ხელშეწყობის თვალსაზრისით.

ახალგაზრდული საქმიანობა, თავისი ყველა ფორმით, უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს ახალგაზრდების გაძლიერებაში. ის ხელს უწყობს უსაფრთხო გარემოს შექმნას ახალგაზრდების განვითარებისა და სწავლისთვის, არაფორმალური განათლების მეთოდების გამოყენებით. ახალგაზრდებს, ხშირად ტექნიკურ კომპეტენციებთან ერთად, არ აქვთ განვითარებული არც გამჭოლი კომპეტენციები, მაგალითად, ლიდერობა, კომუნიკაცია, გუნდური მუშაობა, კრიტიკული აზროვნება, პრობლემების გადაწყვეტა და ა.შ., რაც უარყოფითად აისახება მათი დასაქმების პერსპექტივაზე.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს 2020 წლის ადამიანური კაპიტალის ინდექსის მაჩვენებელი მეტია საშუალოზე მაღალი შემოსავლის მქონე ქვეყნების მონაცემებსა და ქვეყნის 2010 წლის მაჩვენებელზე (რომელიც 0,54-ს შეადგენდა), ის აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონის საშუალო მაჩვენებელზე დაბალია, შესაბამისად, საქართველოს სჭირდება მეტი ინვესტიცია ადამიანურ კაპიტალში, რათა შექმნას მომავალი თაობების კეთილდღეობა.<sup>67</sup>

აქედან გამომდინარე, უაღრესად მნიშვნელოვანია ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე ხარისხიანი ახალგაზრდული საქმიანობისა და არაფორმალური საგანმანათლებლო შესაძლებლობების შექმნა, რაც ხელს შეუწყობს ახალგაზრდების მრავალმხრივ განვითარებასა და მათი პოტენციალის გამოვლენას. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია, რომ ქვეყანაში არსებობდეს ხელმისაწვდომი არაფორმალური და ინფორმალური განათლების შედეგად მიღებული უნარების აღიარების მექანიზმები. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ახალგაზრდების იმ ჯგუფისთვის, რომელსაც არ აქვს მიღებული ფორმალური განათლება.

არაფორმალური განათლებისა და ახალგაზრდული საქმიანობის ერთ-ერთი გავრცელებული ფორმაა ჰობი-განათლება. ჰობი-განათლებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ახალგაზრდების თავისუფალი დროის ორგანიზებაში, დანაშაულის პირველადი დონის პრევენციაში, საზოგადოებრივ ჯანდაცვაში და აქტიური ცხოვრების წესის პოპულარიზაციაში. მნიშვნელოვანია, რომ ჰობი-განათლება, ახალგაზრდული საქმიანობის პრინციპების საფუძველზე, ხელს უწყობდეს ახალგაზრდებში პიროვნული და სოციალური კომპეტენციების განვითარებას და არა მხოლოდ შერჩეული მიმართულებით სპეციალური უნარების შექმნას.

<sup>67</sup> The World Bank. 2020. The Human Capital Index.

<https://data.worldbank.org/indicator/HD.HCI.OVRL?end=2020&locations=GE&start=2020&view=bar>.

შესაბამისად, ახალგაზრდების მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნით საჭიროა, საქართველოში ყველა ახალგაზრდისთვის ხელმისაწვდომი გახდეს საკვანძო კომპეტენციების განვითარების ხელშეწყობის ხარისხიანი არაფორმალური განათლებისა და ახალგაზრდული საქმიანობის პროგრამები, ჰობი-განათლება, საბანაკე პროგრამები, საინფორმაციო და საკონსულტაციო სერვისები. ამისთვის განხორციელდება ყველა საჭირო ღონისძიება, რომლებიც ხელს შეუწყობს საქართველოში ახალგაზრდული საქმიანობის განვითარებასა და საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილების დანერგვას, კერძოდ, შეიქმნება და დაინერგება ახალგაზრდული მუშაკის პროფესია, შემუშავდება საგანმანათლებლო პროგრამები ახალგაზრდული მუშაკების, როგორც ახალგაზრდული საქმიანობის მთავარი აქტორების მომზადების, გადამზადების, კვალიფიკაციის ამაღლებისა და სერტიფიცირებისთვის, შეიქმნება ახალგაზრდული საქმიანობის შედეგად განვითარებული კომპეტენციისა და უნარების, ასევე, პრაქტიკოსი ახალგაზრდული მუშაკების გამოცდილების აღიარებისა და ვალიდაციის მექანიზმები. ამაღლება ჰობი-განათლების ხარისხი და ის უფრო ხელმისაწვდომი გახდება.

## **სტრატეგიული მიზანი 2: ახალგაზრდების ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის გაძლიერება**

მოზარდობის ასაკში ჯანსაღი ცხოვრების წესის წახალისება და ჯანმრთელობის რისკებისგან დამცავი ღონისძიებების გატარება ძალზე მნიშვნელოვანია ქვეყნის მომავალი თაობის ჯანმრთელობისთვის.

ეს მიზანი პირდაპირ უკავშირდება გაეროს მდგრადი განვითარების მე-3 („ჯანსაღი ცხოვრება და კეთილდღეობა ყველა ადამიანს“), მე-5 („გენდერული თანასწორობა და ყველა ქალისა და გოგონას შესაძლებლობების გაუმჯობესება“), მე-10 („უთანასწორობის შემცირება ქვეყნებში და ქვეყნებს შორის“) და მე-16 („მშვიდობა, სამართლიანობა და ძლიერი ინსტიტუტები“) მიზნებსა და „2020–2030 წლებისთვის საქართველოს ახალგაზრდული პოლიტიკის კონცეფციის“ მე-3 პრიორიტეტს („ახალგაზრდების ჯანმრთელობა და კეთილდღეობა“).

ამ მიზნის მიღწევით შეიქმნება ისეთი გარემო და პირობები, რომლებიც ხელს შეუწყობს ახალგაზრდების დაცვას ჯანმრთელობისთვის სახიფათო ქცევებისაგან, დაცული იქნება მათი უსაფრთხოება, ბავშვები და ახალგაზრდები უკეთ შეძლებენ ცხოვრებისეულ სირთულეებთან გამკლავებას, ეს ყველაფერი კი განაპირობებს მათ ფიზიკურ და ფსიქიკურ ჯანმრთელობასა და კეთილდღეობას.

ამ მიზნის მისაღწევად დასახულია ექვსი ძირითადი ამოცანა:

### **ამოცანა 2.1 ახალგაზრდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის ხელშეწყობა**

კვებასა და ფიზიკურ აქტივობასთან დაკავშირებული ქცევითი მოდელები, ჩვეულებრივ, იქმნება ან მყარდება მოზარდობის პერიოდში. ეს ქცევები და მდგომარეობა სერიოზულ გავლენას ახდენს მოზარდების ჯანმრთელობასა და განვითარებაზე. ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია აღნიშნავს, რომ რეგულარული ფიზიკური აქტივობა, რომელიც აერთიანებს სპორტულ ვარჯიშსაც, არის არაგადამდებ დაავადებებთან დაკავშირებული ისეთი რისკ-ფაქტორების შემცირების მნიშვნელოვანი საშუალება, როგორც არის გულ-სისხლძარღვთა და სიმსივნური დაავადებები, წონასთან დაკავშირებული პრობლემები და სხვა. რეგულარულ ფიზიკურ აქტივობასთან ერთად ჯანსაღი და სრულფასოვანი კვებაც დადებით გავლენას ახდენს ბავშვებისა და ახალგაზრდების ფიზიკურ სიძლიერეზე, ფსიქიკურ ჯანმრთელობასა და შრომისუნარიანობაზე.

ამ მიმართულებით განხორციელდება ისეთი პროგრამები და ღონისძიებები, რომლებიც დაეხმარება ახალგაზრდებს ჯანსაღი კვებითი ჩვევების გამომუშავება/შენარჩუნებაში, აქტიური ცხოვრების წესის დანერგვაში. ასევე, დაიწყება ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია და მასობრივი სპორტის წახალისება, სპორტული წრეები და ინფრასტრუქტურა მეტი ახალგაზრდისთვის იქნება ხელმისაწვდომი, შეიქმნება და განხორციელდება ახალგაზრდების დასვენებისა და გართობის ისეთი პროგრამები, რომლებშიც გაერთიანდება ფიზიკური აქტივობა და რეკრეაციული და არაფორმალური საგანმანათლებლო ღონისძიებები. ასევე, გაუმჯობესდება რეკრეაციული საბანაკე ინფრასტრუქტურა, რომლითაც ბევრი ახალგაზრდა, მათ შორის შშმ ახალგაზრდებიც ისარგებლებენ.

## **ამოცანა 2.2 ახალგაზრდების ფსიქიკური ჯანმრთელობის გაუმჯობესება**

ბავშვებისა და მოზარდების ჯანსაღი განვითარება ხელს უწყობს მათ პოზიტიურ ფსიქიკურ ჯანმრთელობას და ხელს უშლის ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების აღმოცენებას. მხოლოდ ფსიქიკური ჯანმრთელობის დარღვევებზე ყურადღების გამახვილება არ იძლევა ახალგაზრდების ფსიქიკური მდგომარეობის სრულყოფილ სურათს. ზოგადი პრობლემაა ის, რომ, ძირითადად, ფსიქიკური ჯანმრთელობა ესმით, როგორც ფსიქიკური აშლილობის არარსებობა.

მნიშვნელოვანია ფსიქიკური ჯანმრთელობისთვის გამოყოფილი რესურსის გაზრდა, რაც ხელს შეუწყობს ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე ახალგაზრდების საჭიროებებს მორგებული ადეკვატური მომსახურების განვითარებას. ასევე, აუცილებელია ფსიქიკური ჯანმრთელობის შესახებ ახალგაზრდების ინფორმირებულობა, ცოდნის დონის ამაღლება და ფსიქიკურ პრობლემებთან დაკავშირებული სტიგმის შესუსტება. ფსიქიკური ჯანმრთელობის შესახებ ახალგაზრდების წიგნიერება გაიზრდება შემუშავებული საკომუნიკაციო გეგმით გათვალისწინებული საინფორმაციო-საგანმანათლებლო აქტივობებით. გაიზრდება ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე ახალგაზრდების საჭიროებების შესაბამისი სერვისების ხელმისაწვდომობა. აგრეთვე, განვითარდება ახალგაზრდების ასაკობრივი თავისებურებების შესაბამისი, მოქნილი, არამასტიგმატიზებული, თემზე დაფუძნებული სერვისები, რომელთა გამოყენების მიზანი იქნება სხვადასხვა ქცევითი და ემოციური სირთულის ადრეული აღმოჩენა და დროული ჩარევა.

## **ამოცანა 2.3 ახალგაზრდებში ქიმიური და ქცევითი დამოკიდებულების დონის შემცირება**

დღეისათვის ქვეყანაში ახალგაზრდების ერთ-ერთი მთავარი პრობლემაა ფსიქოაქტიური ნივთიერებების ავად მოხმარება და ამასთან დაკავშირებული ჯანმრთელობისთვის საზიანო, ასევე - სოციალური და ეკონომიკური შედეგები.

შემუშავდება ქიმიური და ქცევითი დამოკიდებულების პრევენციის ეროვნული სტანდარტები და მათზე დაყრდნობით განხორციელდება ფართომასშტაბიანი პრევენციის პროგრამები. ასევე, უფრო ხელმისაწვდომი გახდება მოზარდებისა და ახალგაზრდების საჭიროებებს მორგებული საკონსულტაციო, სამკურნალო და მხარდამჭერი სერვისები.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი აქტივობაა ახალგაზრდებისთვის განკუთვნილი მასობრივი, გეგმაზომიერი საინფორმაციო-საგანმანათლებლო კამპანიის დაგეგმვა და განხორციელება ქიმიური და ქცევითი დამოკიდებულების შესახებ ობიექტური ინფორმაციის გავრცელებისა და ახალგაზრდებში ჯანსაღი ქცევის მოდელის ფორმირების მიზნით. მედიააქტივობების შერწყმა სხვა პრევენციულ მექანიზმებთან (მაგ.: თანასწორთა განათლება) ხელს შეუწყობს

ფსიქოაქტიური ნივთიერებების შესახებ ახალგაზრდების ცოდნის ამაღლებას, შეხედულებებისა და დამოკიდებულების შეცვლას.

ასევე, მნიშვნელოვანია არასრულწლოვანთა საჭიროებებს მორგებული საკონსულტაციო, სამკურნალო და მხარდამჭერი სერვისების სისტემის განვითარება. ამისათვის შემუშავდება ქიმიურ და ქცევით დამოკიდებულებასთან, მათ შორის - ახარტულ თამაშებთან დაკავშირებული პრობლემების მქონე ბავშვთა და მოზარდთა განგრძობითი მოვლის სტანდარტები (გაიდლაინი და პროტოკოლი) სკრინინგის, ადრეული ჩარევის, ფარმაკოთერაპიის, ფსიქოთერაპიის, რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის ხელშემწყობი სოციალური, საგანმანათლებლო და სხვა მხარდამჭერი მეთოდების გამოყენებით.

#### **ამოცანა 2.4 ახალგაზრდების მიმართ და ახალგაზრდების მიერ ჩადენილი ძალადობისა და ანტისოციალური ქცევის, მათ შორის დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლა**

ახალგაზრდების მიერ ჩადენილი დანაშაული ქვეყნისთვის დიდი გამოწვევაა. ახალგაზრდების მონაწილეობით მომხდარი ძალადობისა და დისკრიმინაციის ფაქტები ნაადრევი სიკვდილიანობის, დაზიანებებისა და უნარების შეზღუდვის ძირითადი მიზეზებია. ახალგაზრდების მონაწილეობით მომხდარი ძალადობა ზიანს აყენებს არა მხოლოდ მსხვერპლს, არამედ მათ ოჯახებს, მეგობრებსა და საზოგადოებას.

ამ ქმედების პრევენცია ქვეყანაში დანაშაულების შემცირების ერთ-ერთი ეფექტური მეთოდია. პრობლემის მოსაგვარებლად განვითარდება სხვადასხვა უწყებაში მოქმედი ცალკეული პრევენციული პროგრამები და დაიწყება მჭიდრო ურთიერთობა როგორც უწყებებსა და ახალგაზრდულ ორგანიზაციებთან, ასევე მაკოორდინირებელ უწყებასა და დანაშაულის პრევენციის სისტემასთან. ამაღლება ახალგაზრდების სამართლებრივი ცნობიერება, ყურადღება გამახვილდება მოწყვლადი ჯგუფების, მათ შორის - NEET-ახალგაზრდების გაძლიერებასა და დანაშაულის რისკ-ფაქტორების შემცირებაზე, განვითარდება ახალგაზრდებისათვის საჭირო რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროგრამები და ყველა პირობა შეიქმნება მათი საჭიროებისამებრ გავრცობისთვის.

ახალგაზრდებს შორის, მათ მიერ და მათ მიმართ ჩადენილი ძალადობისა და დისკრიმინაციის პრობლემის აღმოფხვრისთვის მნიშვნელოვანია სხვადასხვა დონის პრევენციის ხელშემწყობი პროგრამების, ღონისძიებებისა და ახალგაზრდული სერვისების ხელმისაწვდომობის ზრდა. ქვეყანაში აუცილებელია თემის საჭიროებებზე დაფუძნებული დამოკიდებულებისა და ქცევითი ცვლილების პროგრამების დანერგვა, რომლებიც მოემსახურება როგორც ახალგაზრდებს შორის, ისე ახალგაზრდების მიმართ და ახალგაზრდების მიერ ჩადენილი ძალადობისა და დისკრიმინაციის ფაქტების შემცირებას.

დანაშაულის პირველი დონის პრევენციის მიზნით დაინერგება და განვითარდება ანტისოციალური და კანონსაწინააღმდეგო ქცევის გააზრების პროგრამები სკოლის მოსწავლეებისა და ახალგაზრდებისთვის. კანონთან კონფლიქტში მყოფი და რთული ქცევის მქონე არასრულწლოვნებისთვის გაძლიერდება არასრულწლოვანთა რეფერირების ცენტრის პროგრამები. გაძლიერდება განრიდებისა და მედიაციის და მსჯავრდებულთა და ყოფილ პატიმართა სარეაბილიტაციო პროგრამები და მომსახურებები.

ამ ამოცანის ფარგლებში ასევე განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა ოჯახში ახალგაზრდა ქალებისა და ბავშვების მიმართ ჩადენილ ძალადობას. საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლის მიხედვით, ქორწინება, როგორც ქალისა და მამაკაცის კავშირი ოჯახის შექმნის მიზნით, ემყარება მეუღლეთა უფლებრივ თანასწორობასა და ნებაყოფლობას.<sup>68</sup> ოჯახში

<sup>68</sup> საქართველოს კონსტიტუცია; <https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=36>

ძალადობა ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული და გავრცელებული ძალადობის ფორმაა, რომელსაც ფარული, განგრძობადი და სპეციფიკური ხასიათი აქვს. ოჯახში ძალადობად ითვლება ოჯახის წევრის მიმართ განხორციელებული ფიზიკური ძალადობა, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური თუ სექსუალური ძალადობა და იძულება. ოჯახში ძალადობა ხშირად იწვევს ჯანმრთელობის გაუარესებას, ფიზიკურ და ემოციურ აშლილობას, რომელიც შეიძლება ფატალური შედეგით დასრულდეს.<sup>69</sup> მნიშვნელოვანია, ახალგაზრდებმა ოჯახის შექმნამდე იცოდნენ ისეთი საკითხები, როგორცაა: ოჯახის წევრთა უფლებებისა და თავისუფლების დაცვა, ფიზიკური და ფსიქოლოგიური ხელშეუხებლობა, ოჯახში ღირებულებების დაცვის საკანონმდებლო გარანტიები, დამცავი და შემაკავებელი ორდერის რაობა, ოჯახში ძალადობის სახეობები და ოჯახში ძალადობის სავარაუდო შედეგები.

ოჯახში ბავშვთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრისთვის შემუშავდება და განხორციელდება მშობელთა პოზიტიური პრაქტიკის გაღრმავებისკენ მიმართული პროგრამები. პოზიტიური მშობლობა ნიშნავს მშობლის ისეთ ქცევას, რომლითაც ის შვილის მიმართ უპირობო სიყვარულსა და სიბოძს, ზრუნვასა და მხარდაჭერას, მიმღებლობასა და პატივისცემას გამოხატავს. პოზიტიური მშობლობა გამორიცხავს ბავშვზე ნებისმიერი სახის ძალადობას, ისეთს, როგორცაა, მაგალითად, ცემა, დამცირება, იძულება, მუქარა, ყვირილი ან დაშინება.<sup>70</sup> პოზიტიური მშობლობის სტრატეგიები ხელს შეუწყობს ბავშვის ინდივიდუალობის განვითარებას და მშობელსა და შვილს შორის მჭიდრო, თბილი ურთიერთობის დამყარებას, რაც ბავშვებისა და ახალგაზრდების ფსიქიკური ჯანმრთელობის საწინდარია. ასევე, ამ ამოცანის ფარგლებში შემუშავდება სიმულაციის ენის, ბულინგის, კიბერძალადობისა და დისკრიმინაციის წინააღმდეგ, აგრეთვე ბავშვის უფლებათა სწავლებისკენ მიმართული საინფორმაციო-საგანმანათლებლო პროგრამები, რომლებიც დაინერგება როგორც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში, ისე პროფესიულ და უმაღლეს სასწავლებლებში.

## **ამოცანა 2.5 ბავშვთა/ადრეული ქორწინებებისა და მოზარდთა ორსულობის წინააღმდეგ ბრძოლა**

ბავშვთა/ადრეული ქორწინება გენდერული ნიშნით განსაზღვრული ფენომენია და განსაკუთრებულად გოგონებზე ახდენს უარყოფით ზეგავლენას, რადგან ზღუდავს მათ შესაძლებლობებს, ჩაერთონ საზოგადოებრივ ცხოვრებაში და მაქსიმალურად განვითარონ თავიანთი პოტენციალი. ბავშვთა/ადრეული ქორწინების საზიანო პრაქტიკის აღმოფხვრა უმნიშვნელოვანესია გენდერული თანასწორობისა და ყველა ახალგაზრდის მდგრადი, თანასწორი განვითარებისთვის. ქვეყანაში გავრცელებული უთანასწორო გენდერული ნორმებისა და დისკრიმინაციული გენდერული ურთიერთობების გარდა, ბავშვის/ადრეული ქორწინების საზიანო პრაქტიკას ხელს ასევე უწყობს მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა, განათლების დონე, განვითარების ახალი შესაძლებლობებისა და ინფორმაციის ნაკლებობა, სოციალიზაციისთვის შინაარსიანი და საინტერესო სივრცეების სიმცირე. ერთ-ერთი მიზეზია ისიც, რომ ნაკლებად ხელმისაწვდომია ახალგაზრდების მიმართ კეთილგანწყობილი ჯანმრთელობის სერვისები.

ბავშვთა/ადრეული ქორწინების აღმოფხვრისთვის მნიშვნელოვანია, ახალგაზრდებმა ოჯახის შექმნამდე კარგად შეისწავლონ ისეთი საკითხები, როგორცაა: ორსულობასთან დაკავშირებული რისკების პრევენცია, ორსულობებს შორის შუალედის შერჩევა და ამ გზით

<sup>69</sup> საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, ოჯახში ძალადობა; <https://police.ge/ge/projects/odjakhshidzaldoba>

<sup>70</sup> პოზიტიური მშობლობა; <https://www.unicef.org/georgia/>

ახალშობილთა სიკვდილიანობის შემცირება, სქესობრივი გზით გადამდები დაავადებების პრევენცია და ა.შ.

ამ მიზნით განხორციელდება ცნობიერების ამაღლებისა და უთანასწორო და საზიანო გენდერული ნორმების ტრანსფორმაციის ხელშემწყობი ღონისძიებები; შეიქმნება ახალგაზრდებისთვის მათი უფლებების, ჯანმრთელობისა და სხვა საკითხების შესახებ მტკიცებულებებზე დაფუძნებული, ასაკის შესაბამისი ინფორმაციის მიღების შესაძლებლობები; გაიზრდება ახალგაზრდებისადმი კეთილგანწყობილი ჯანდაცვის (განსაკუთრებით - სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობის) სერვისების ხელმისაწვდომობა და შეიქმნება სოციალიზაციის განვითარებისთვის საჭირო ალტერნატიული სივრცეები. ოჯახის შექმნისთვის საჭირო რეპროდუქციული ცოდნის მიღების მიზნით ახალგაზრდებისთვის შემუშავდება საგანმანათლებლო რესურსები, რომელთა ინტეგრირება დაიწყება როგორც ფორმალურ, ისე არაფორმალურ სასწავლო გარემოში.

### **ამოცანა 2.6 ახალგაზრდების/ბავშვთა პერსონალური მონაცემების დაცვის გაუმჯობესება**

ახალგაზრდების/ბავშვთა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება განსაკუთრებულ დაცვას საჭიროებს. მათი პერსონალური მონაცემის უკანონო დამუშავების ნეგატიური შედეგები შეუქცევადია და უარყოფითად აისახება მათ ჯანმრთელობაზე, განვითარებასა და მომავალ ცხოვრებაზე. ბავშვები, როგორც მოწყვლადი ჯგუფის წარმომადგენლები, ნაკლებად ინფორმირებულნი არიან პერსონალურ მონაცემთა დაცვის საკანონმდებლო მექანიზმების არსებობისა და გამოყენების თაობაზე. აღნიშნული ხაზს უსვამს მონაცემთა დამუშავებელთა/უფლებამოსილ პირთა პასუხისმგებლობას, გაითვალისწინონ ბავშვთა საუკეთესო ინტერესები მათი მონაცემების დამუშავების პროცესში. გარდა ამისა, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სფეროში საქართველოში მოქმედი სამართლებრივი ჩარჩო პირდაპირ არ ითვალისწინებს ციფრულ გარემოში ახალგაზრდების/ბავშვთა პერსონალურ მონაცემთა დაცვის უზრუნველსაყოფად საჭირო პროცედურებს. აქედან გამომდინარე, მათი მონაცემთა დაცვის სათანადო გარანტიების შექმნისთვის მნიშვნელოვანია საერთაშორისო სტანდარტების გავრცელება და მიწოდება, როგორც მონაცემთა დამმუშავებლებისთვის, ისე უფლებამოსილი პირებისათვის.

ახალგაზრდების/ბავშვების პერსონალურ მონაცემთა დაცვის კულტურის ამაღლებისა და გაუმჯობესების მიზნით შესწავლილი იქნება მათი პერსონალური მონაცემების დამუშავების კანონიერება, განხორციელდება ცნობიერების ამაღლებაზე ორიენტირებული ღონისძიებები, ასევე, მიზნობრივი ჯგუფებისათვის გამოიცემა თემატური სახელმძღვანელო რეკომენდაციები.

### **სტრატეგიული მიზანი 3: ახალგაზრდების ეკონომიკური გაძლიერება**

ღირსეული დასაქმება და მეწარმეობა ახალგაზრდების ეკონომიკური გაძლიერების მთავარი ინსტრუმენტია. ახალგაზრდების დასაქმებაზე ბევრი სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორი ახდენს გავლენას. ამასთანავე, სწავლის დამთავრების შემდეგ მუშაობის წარმატებით დაწყების ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორი სწორედ მიღებული განათლებაა. ასევე, არანაკლებ მნიშვნელოვანია უწყვეტი განათლება, გამჭოლი კომპეტენციების განვითარება და მობილობა. ამასთან ერთად, საჭიროა, ქვეყანაში არსებობდეს ახალგაზრდებისთვის ხელსაყრელი ისეთი სოციალურ-ეკონომიკური გარემო, რომელიც მათ საშუალებას მისცემს, შექმნან ოჯახი და ამავე დროს შეძლონ კარიერული განვითარება.

რაც შეეხება მეწარმეობას, ამ მიმართულებით სტრატეგიის მიზნები და ამოცანები, ერთი მხრივ, გულისხმობს ახალგაზრდებისთვის სამეწარმეო კომპეტენციების განვითარების ხელშეწყობას, რათა მეწარმეობა მათთვის გახდეს სრულფასოვანი კარიერული არჩევანი, მეორე მხრივ კი - ახალგაზრდების მეწარმეობის მხარდაჭერას და სოციალური მეწარმეობის ხელშეწყობას. აუცილებელია ე.წ. NEET-ახალგაზრდების სამუშაო ძალაში ჩართვა ან სასწავლო პროცესში დაბრუნება. ეს მიზანი პირდაპირ უკავშირდება გაეროს მდგრადი განვითარების მე-8 მიზანს და „2020-2030 წლებისთვის საქართველოს ახალგაზრდული პოლიტიკის კონცეფციის“ მე-4 პრიორიტეტს.

ამ მიზნის მიღწევით სამუშაო ძალაში გაიზრდება ახალგაზრდების წილი, ხელი შეეწყობა ახალგაზრდების სამუშაო ბაზარზე გასვლისა და დამკვიდრების მექანიზმების დანერგვას, ახალგაზრდები გახდებიან ფინანსურად დამოუკიდებლები, აიმაღლებენ ცნობიერებას ფინანსური წიგნიერების კუთხით, გაუჩნდებათ ან გაეზრდებათ საკუთარი შემოსავალი დაქირავებული შრომიდან და მეწარმეობიდან, გაიზრდება საკუთარი სამუშაოთი კმაყოფილების ხარისხი, ასევე ყურადღება დაეთმობა ახალგაზრდების სამეწარმეო, მათ შორის - მწვანე და ციფრული მეწარმეობის კომპეტენციების განვითარებასა და მეწარმეობის სურვილის ამაღლებას. ამასთან, გაიზარდება ახალგაზრდების მიერ დაფუძნებული საწარმოების რაოდენობა.

ამ მიზნის მისაღწევად დაისახა ორი ძირითადი ამოცანა:

### **ამოცანა 3.1 ახალგაზრდების ხარისხიანი და ღირსეული დასაქმების ხელშეწყობა**

ღირსეული დასაქმება გულისხმობს რომ, ახალგაზრდების სამუშაოზე აყვანა გამჭვირვალედ და საუკეთესო მეთოდებით ხდებოდეს. ახალგაზრდებს თანაბრად უნდა მიუწვდებოდეთ ხელი დასაქმების შესაძლებლობებზე. დამქირავებელთან ურთიერთობა ფორმალიზებული უნდა იყოს, დაქირავებულის ინტერესი კი - დაცული.

განათლება ადამიანური კაპიტალის მთავარი მამოძრავებელი ძალაა. მისი უმნიშვნელოვანესი კომპონენტები საგანმანათლებლო დაწესებულებებია, მაგალითად, უნივერსიტეტები, რომელთაც დივერსიფიცირებული პროფილი აქვთ, თუმცა არსებობს გამოწვევებიც. 2016 წლის კვლევის თანახმად, უნივერსიტეტები საკუთარ პროგრამებში ნაკლებ ყურადღებას უთმობენ პრაქტიკულ სამუშაოსა და სტაჟირებას, რაც კურსდამთავრებულების სამუშაო ბაზარზე გასვლისთვის მზადყოფნაზე უკუპროპორციულად მოქმედებს.<sup>71</sup>

მნიშვნელოვანია, რომ სამუშაო ბაზარზე შესვლის მექანიზმები გახდეს ახალგაზრდების საჭიროებებს მორგებული და მეტი ყურადღება დაეთმოს საქართველოში შრომის ბაზრის აქტიური პოლიტიკის (ALMP) დაგეგმვისასაც, მათ შორის - პროფესიული კონსულტაციისა და კარიერის დაგეგმვის მომსახურების, პროფესიული მომზადებისა და გადამზადების, სამუშაოს მაძიებლებისთვის საშუაშაველო მომსახურების, დაბალკონკურენტუნარიანი ჯგუფების დასაქმების ხელშეწყობის სერვისებს.

ამოცანის შესაბამისად ხელი შეეწყობა ახალგაზრდებისთვის კარიერის დაგეგმვისა და დასაქმების ხელშეწყობის სერვისების შექმნას/მორგებას, ქვეყნისა და საერთაშორისო მასშტაბით პროფესიების განვითარების ტენდენციების შესწავლას, რათა ახალგაზრდამ მიიღოს გადაწყვეტილება ყველა შესაძლო ფაქტორის გათვალისწინებით. განხორციელდება საინფორმაციო და სხვა სახის ღონისძიებები, რაც უნივერსალურს გახდის ამ სერვისების ხელმისაწვდომობას.

<sup>71</sup> ფრიდრიხ ებერტის ფონდი. 2016. თაობა გარდამავალ პერიოდში. თბილისი: ფრიდრიხ ებერტის ფონდი, <https://library.fes.de/pdf-files/bueros/georgien/13151-20170131.pdf>

არაფორმალური საგანმანათლებლო მეთოდოლოგიის გამოყენებით, ახალგაზრდები მუდმივად იქნებიან ჩართული უნარების განმავითარებელ აქტივობებში, რაც მათ პიროვნულ განვითარებასა და საბოლოოდ დასაქმებაში შეუწყობს ხელს. ამასთანავე, ხელი შეეწყობა პასიური სამუშაო ძალის ახალგაზრდების, მათ შორის NEET-კატეგორიის, აქტივიზაციის მექანიზმების განვითარებას.

გადაიდგმება არაერთი ნაბიჯი, რომელიც გააუმჯობესებს ახალგაზრდების დასაქმების მაჩვენებელს. მათ შორის, ახალგაზრდებისთვის მაღალმწარმოებლური სამუშაო ადგილებისა და სექტორების ხელშეწყობით, დამსაქმებლებთან ახალგაზრდების დასაქმების საკითხების ლობირება; მოხდება ახალგაზრდების ინფორმირება საკუთარი შრომითი უფლებებისა და ფორმალიზებული ურთიერთობის უპირატესობების შესახებ, მათ შორის- სტაჟირებისა და მენტორინგის (როგორც სახელმწიფო პროგრამის) პროცესში.

ამოცანის შესრულების შედეგად, მთელი ქვეყნის მასშტაბით გაიზრდება ახალგაზრდების ხელმისაწვდომობა შრომის ბაზრის აქტიური პოლიტიკის (ALMP) ყველა პროგრამასა და სერვისზე. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა ნაკლები შესაძლებლობების მქონე ახალგაზრდებს, შშმ ახალგაზრდებს, NEET ახალგაზრდებსა და მოწყვლად ჯგუფებს.

### **ამოცანა 3.2 ახალგაზრდული მეწარმეობის გაძლიერება**

ახალგაზრდების სამეწარმეო განათლება ხელს უწყობს მათი სწავლიდან მუშაობაზე გადასვლის პროცესს, წარმატებული სტარტაპ-კომპანიების რაოდენობის ზრდას, თვითდასაქმებას, ახალი სამუშაო ადგილების შექმნას, აგრეთვე - ახალგაზრდების შემოქმედებითი კომპეტენციების განვითარებასა და სოციალური პასუხისმგებლობის განმტკიცებას.

ასევე, სამეწარმეო სწავლებისას ყურადღება გამახვილდება სამეწარმეო, ციფრული, შემოქმედებითი და მწვანე უნარების განვითარებაზე და ახალგაზრდებისთვის უფრო ხელმისაწვდომი იქნება მეწარმეობისა და სტარტაპებთან დაკავშირებული ისეთი ფორმალური და არაფორმალური საგანმანათლებლო პროგრამები, რომლებიც ინიციატივის განვითარებას, პროექტების, ბიზნესგეგმის მომზადებისა თუ ფინანსური მაჩვენებლების შეფასების სწავლებას ისახავს მიზნად. ამ მიმართულებით შემუშავდება და განხორციელდება ახალგაზრდებში სამეწარმეო, მათ შორის, მწვანე და ციფრული კომპეტენციების განვითარების ხელშემწყობი პროგრამები, ახალგაზრდებში მეწარმეობის შესახებ ცნობიერების ამაღლების კამპანიები, შემუშავდება და განხორციელდება ახალგაზრდული მეწარმეობის განვითარების კონცეპტუალური დოკუმენტი. ასევე, მომზადდება ახალგაზრდების საჭიროებებს მორგებული სოციალური მეწარმეობის განვითარების ხელშემწყობი რეკომენდაციები და განხორციელდება სოციალური მეწარმეობისა და სტარტაპ-ინკუბატორების განვითარებისთვის საჭირო აქტივობები.

### **სტრატეგიული მიზანი 4: ახალგაზრდების მონაწილეობის ხელშეწყობა საზოგადოებრივ და დემოკრატიულ პროცესებში**

საზოგადოებრივ ცხოვრებასა და დემოკრატიულ პროცესებში ახალგაზრდების თანაბარი მონაწილეობა ხელს უწყობს, ერთი მხრივ, ახალგაზრდების სამოქალაქო პასუხისმგებლობის დონის ამაღლებას, მეორე მხრივ კი - პოლიტიკური პროცესების გამჭვირვალობასა და პოლიტიკურ დღის წესრიგში ახალგაზრდული საკითხების უკეთ წარმოჩენას. ამავდროულად, აქტიური მონაწილეობა ახალგაზრდებს ეხმარება ისეთი საკვანძო კომპეტენციების განვითარებაში, როგორც არის კომუნიკაცია, გუნდური მუშაობა, პრობლემების ანალიზი და ინიციატივების წამოყენება. ამ საკვანძო კომპეტენციების განვითარება მნიშვნელოვნად უწყობს ხელს როგორც აქტიურ მოქალაქეობას და

საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში ჩართვას, ასევე - ახალგაზრდების დასაქმებასა და განათლებას.

ეს მიზანი პირდაპირ უკავშირდება გაეროს მდგრადი განვითარების მე-16 მიზანს („მშვიდობა, სამართლიანობა და ძლიერი ინსტიტუტები“) და „2020-2030 წლებისთვის საქართველოს ახალგაზრდული პოლიტიკის კონცეფციის“ პირველ პრიორიტეტს („საზოგადოებრივ ცხოვრებასა და დემოკრატიულ პროცესებში ახალგაზრდების აქტიური მონაწილეობა“).

ამ მიზნის მიღწევით ახალგაზრდებს აუმაღლებათ სამოქალაქო პასუხისმგებლობისა და დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების დონე; გაიზრდება გადაწყვეტილების მიღებისა და დემოკრატიულ პროცესებში ჩართული ახალგაზრდების რაოდენობა; განვითარდება ნაკლები შესაძლებლობის მქონე ახალგაზრდების, შშმ ახალგაზრდების, ასევე - ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების წარმომადგენელი და საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები ახალგაზრდების საჭიროებებს მორგებული პროგრამები და სერვისები; გაძლიერდება ახალგაზრდული ორგანიზაციებისა და საინიციატივო ჯგუფების მხარდაჭერა.

ამ მიზნის მისაღწევად დაისახა ექვსი ძირითადი ამოცანა:

#### **ამოცანა 4.1 ახალგაზრდებში სამოქალაქო პასუხისმგებლობის გაძლიერება**

მაღალი სამოქალაქო პასუხისმგებლობა ხელს უწყობს საზოგადოებისადმი მიკუთვნებულობის განცდის გამძაფრებას, საზოგადოების სხვა წევრების მიმართ სოლიდარობის გრძნობის ჩამოყალიბებას, სამოქალაქო უფლებებისა და ვალდებულებების გაცნობიერებასა და შესრულებას, ეროვნული პრინციპებისა და ღირებულებების გაზიარებასა და საზოგადოების საერთო პრობლემების გადაჭრის პროცესში აქტიური მონაწილეობისთვის მზადყოფნას.

ამ მიმართულებით მნიშვნელოვანია ახალგაზრდების ცნობიერების ამაღლება და საკუთარი როლის გაცნობიერება ეროვნული მედეგობის გაძლიერებაში. ამ ამოცანის შესაბამისად განხორციელდება პროგრამები და ღონისძიებები, რომლებიც ხელს შეუწყობს ეროვნული უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებით ახალგაზრდების ცნობიერების დონის ამაღლებას. ეს საკითხებია: ქვეყნის სუვერენიტეტი და ტერიტორიული მთლიანობა, ოკუპირებული ტერიტორიები, რუსეთის ფედერაციის მხრიდან ახალი სამხედრო აგრესიის რისკი და იძულებით გადაადგილებულ პირთა და ლტოლვილთა უფლებები, ასევე სამოქალაქო უფლებები და ვალდებულებები, ქვეყნის თავდაცვა და უსაფრთხოება, საქართველოს თავდაცვის ძალები და ქვეყნის სამსახური, საქართველოს ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის პროცესი და ქვეყნის წინაშე არსებული სხვა გამოწვევები, მათ შორის: პროპაგანდა, დეზინფორმაცია და კიბერსაფრთხეები, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაზიანება/განადგურება, ეკოლოგიური გამოწვევები და გარემოს დაცვა, ადამიანის უფლებები, გენდერული თანასწორობა და სხვა.

ამ ამოცანის შესრულებისას განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების განვითარებასა და კულტურათაშორისი დიალოგის ხელშეწყობას, რადგან შეუძლებელია სრულყოფილი დემოკრატიული საზოგადოების შექმნა, თუკი მოქალაქეები არ იცნობენ დემოკრატიულ ღირებულებებს, არ არიან მზად დემოკრატიულ პროცესებში მონაწილეობისთვის, არ გააჩნიათ შესაბამისი კომპეტენცია და შესაძლებლობები.<sup>72</sup>

<sup>72</sup> Recommendation. CM/Rec(2010)7 <https://www.ohchr.org>

შეიქმნება და განხორციელდება დემოკრატიული კომპეტენციების განვითარების, ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლებისა და კულტურათაშორისი დიალოგის ხელშეწყობის პროგრამები.

#### **ამოცანა 4.2 მოხალისეობრივი საქმიანობის ხელშეწყობა**

მოხალისეობრივი საქმიანობა გულისხმობს საკუთარი სურვილით და ანაზღაურების გარეშე საზოგადოებისთვის სასარგებლო საქმიანობას. ის ხელს უწყობს სოციალური კაპიტალის შექმნასა და განვითარებას, სამოქალაქო პასუხისმგებლობის ამაღლებას, საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიურ მონაწილეობას, საზოგადოებისადმი მიკუთვნებულობის, სოლიდარობისა და ემპათიის გრძნობის გაძლიერებას, ამავედროულად, მოხალისეობრივი საქმიანობა ხელს უწყობს საკვანძო უნარ-ჩვევების, პიროვნული, პიროვნებათაშორისი და კულტურათაშორისი კომპეტენციების განვითარებას.

მოხალისეობრივი კულტურის განვითარებისა და მოხალისეობრივ საქმიანობაში ახალგაზრდების უფრო აქტიურად მონაწილეობის მიზნით შეიქმნება ხარისხიანი მოხალისეობრივი შესაძლებლობებისა და ამ სფეროს განვითარების, რეგულირების, წახალისებისა და აღიარების ხელშეწყობის მექანიზმები, პროგრამები და რესურსები; ჩატარდება საინფორმაციო-საგანმანათლებლო კამპანიები საზოგადოებისთვის მოხალისეობისა და მისი დადებითი შედეგების შესახებ მეტი ინფორმაციის მისაწოდებლად. ასევე, გაიზრდება ადგილობრივი და საერთაშორისო მოხალისეობის შესაძლებლობებისა და ღონისძიებებში მონაწილე ახალგაზრდების რაოდენობა.

#### **ამოცანა 4.3 გადაწყვეტილების მიღების პროცესში ახალგაზრდების ჩართულობის ხელშეწყობა**

ადგილობრივ და რეგიონულ საზოგადოებრივ ცხოვრებაში ახალგაზრდების მონაწილეობის შესახებ განახლებული ევროპული ქარტიის თანახმად, გადაწყვეტილების მიღების პროცესში ახალგაზრდების აქტიური მონაწილეობა დემოკრატიული, ინკლუზიური და განვითარებული საზოგადოების ჩამოყალიბების აუცილებელი წინაპირობაა. ახალგაზრდებისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს ყველა ის უფლება, საშუალება, სივრცე, შესაძლებლობა, რომლებიც ხელს შეუწყობს საკუთარი მოსაზრებების ჩამოყალიბებასა და სხვადასხვა საშუალებით მათ გამოხატვას. მნიშვნელოვანია, გადაწყვეტილების მიღების პროცესში ახალგაზრდები აღიქვან, როგორც თანასწორუფლებიანი პარტნიორები, ქვეყნის ადამიანური კაპიტალის მთავარი განახლებადი წყარო, რომელთაც დიდი პოტენციალი, ტალანტი და ძლიერი მხარეები აქვთ ახალგაზრდებს უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა, საკუთარი მოსაზრებები გაუზიარონ გადაწყვეტილების მიმღებ პირებს და მიიღონ ინფორმაცია მათი არგუმენტების გათვალისწინების ან/და გაუთვალისწინებლობის შესახებ.<sup>73</sup>

ამისთვის შეიქმნება ისეთი ეფექტიანი, ინკლუზიური და გამჭვირვალე მექანიზმები, რომლებიც განაპირობებს ახალგაზრდების თანაბარ და არსებით მონაწილეობას პოლიტიკის შექმნისა და მისი ეფექტიანად განხორციელების პროცესში.

#### **ამოცანა 4.4 ახალგაზრდული ორგანიზაციებისა და საინიციატივო ჯგუფების მხარდაჭერი მექანიზმების განვითარება**

ახალგაზრდული ორგანიზაციები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ როგორც ახალგაზრდების, ასევე მთელი საზოგადოების განვითარებაში. ახალგაზრდული ორგანიზაციების საქმიანობის არეალი ფართოა. ისინი ქმნიან ახალგაზრდებისთვის

<sup>73</sup> Revised European Charter on the Participation of Young People in Local and Regional life; <https://rm.coe.int/168071b4d6>

მნიშვნელოვანი საკითხების ადვოკატირების ეფექტიან პლატფორმას, ახალგაზრდულ სივრცეს თვით გამოხატვისა და განვითარებისთვის. ამ ორგანიზაციების საშუალებით ახალგაზრდებს შესაძლებლობა აქვთ, დაამყარონ ფართო და მრავალფეროვანი სოციალური კავშირები, პარტნიორული ურთიერთობები სხვადასხვა ორგანიზაციასა და ჯგუფთან. ისინი ხელს უწყობენ ახალგაზრდებისთვის მნიშვნელოვანი სხვადასხვა სერვისის მიწოდებას, მათ შორის - ახალგაზრდული საქმიანობის, არაფორმალური განათლებისა და მოხალისეობის მიმართულებით. ასევე, ახალგაზრდების საკვანძო უნარ-ჩვევების განვითარებას, პრობლემური ქცევის ჩამოყალიბების რისკების შემცირებას, ინფორმაციის გავრცელებას, აქტიურ მოქალაქეობასა და მონაწილეობას.

ამ მიზნით შეიქმნება მხარდამჭერი მექანიზმები, რომლებიც ხელს შეუწყობს ახალგაზრდების ინიციატივების ზრდას, სტრატეგიით განსაზღვრული მიზნების შესაბამისად, ახალგაზრდული ორგანიზაციების შესაძლებლობების განვითარებას, ახალგაზრდულ პოლიტიკაში მათ აქტიურ და ეფექტიან მონაწილეობას.

#### **ამოცანა 4.5 ნაკლები შესაძლებლობის მქონე, შშმ ახალგაზრდების, ასევე ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების წარმომადგენელი ახალგაზრდების საჭიროებებზე მიმართული პროგრამების და სერვისების განვითარება**

სტრატეგიით განსაზღვრული პრინციპების შესაბამისად, ყველა ახალგაზრდას უნდა ჰქონდეს თანაბარი შესაძლებლობა, აქტიურად ჩაერთოს საზოგადოებრივ, პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებაში, მიუხედავად მათი განსხვავებული საჭიროებისა და მდგომარეობისა.

ამ მიმართულებით შეიქმნება და განვითარდება ახალგაზრდების საჭიროებებს მორგებული მხარდამჭერი პროგრამები და ახალგაზრდული სერვისები, რომლებიც შექმნის თანაბარ პირობებსა და შესაძლებლობებს სხვადასხვა ჯგუფის წარმომადგენელი ახალგაზრდებისთვის მთელი ქვეყნის მასშტაბით, ხელს შეუწყობს მათი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებასა და აქტიურ მონაწილეობას საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროსა და დემოკრატიულ პროცესებში.

#### **ამოცანა 4.6 საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები ახალგაზრდების საჭიროებების შესაბამისი პროგრამებისა და სერვისების განვითარება**

საქართველოს განუყოფელი ტერიტორიების - აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის უკანონო ოკუპაცია რუსეთის ფედერაციის მიერ და იქ შექმნილი მძიმე ჰუმანიტარული და უფლებრივი მდგომარეობა სავალალოდ აისახება ადგილობრივი მოსახლეობის, მათ შორის - ახალგაზრდების ყოველდღიურ ცხოვრებაზე, ზღუდავს მათ ფუნდამენტურ უფლებებს და ხელს უშლის შემდგომი განვითარების შესაძლებლობას.

ოკუპირებული რეგიონების მძიმე მდგომარეობის გათვალისწინებით, საქართველოს მთავრობის ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტი და ამოცანაა იქ მცხოვრებ მოსახლეობაზე, მათ შორის - ახალგაზრდებზე ზრუნვა. ამისთვის საქართველოს მთავრობა გააგრძელებს შერიგებისა და ჩართულობის პოლიტიკის განხორციელებას და ეფექტიანად გამოიყენებს მის ხელთ არსებულ სტატუს-ნეიტრალურ მექანიზმებს, რათა დაეხმაროს აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში მცხოვრებ ახალგაზრდებს, შეუფერხებლად მიიღონ განათლება, სამედიცინო მომსახურება და ხელი შეუწყოს მათი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

ამასთან, გაგრძელდება ძალისხმევა სამშვიდობო პროცესში ახალგაზრდების როლისა და ჩართულობის გაძლიერების უზრუნველსაყოფად.

## სტრატეგიული მიზანი 5: ახალგაზრდული პოლიტიკის მართვის სისტემის გაუმჯობესება

სახელმწიფოს ახალგაზრდული სტრატეგიის დოკუმენტში წარმოდგენილი მიზნების მისაღწევად აუცილებელია ახალგაზრდული პოლიტიკის მართვის სისტემის გაუმჯობესება, ქვეყნის მასშტაბით უფლებებსა და მტკიცებულებებზე დაფუძნებული ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარება და ამ პროცესში ახალგაზრდებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების აქტიური და თანაბარი მონაწილეობის ხელშეწყობა.

ეს მიზანი პირდაპირ უკავშირდება გაეროს მდგრადი განვითარების მე-16 მიზანს „მშვიდობა, სამართლიანობა და ძლიერი ინსტიტუტები“ და „2020-2030 წლებისთვის საქართველოს ახალგაზრდული პოლიტიკის კონცეფციის“ მე-5 პრიორიტეტს.

ამ მიზნის მიღწევით სახელმწიფო გაუმჯობესებს ახალგაზრდული პოლიტიკის დაგეგმვის, კოორდინაციის, განხორციელების, მონიტორინგისა და შეფასების სისტემას; ახალგაზრდული პოლიტიკის წარმართვის პროცესში გაიზრდება უფლებებსა და მტკიცებულებებზე დაფუძნებული მიდგომების მხარდაჭერა.

ამ მიზნის მისაღწევად დაისახა ერთი ძირითადი ამოცანა:

### ამოცანა 5.1 ახალგაზრდული პოლიტიკის შემუშავების მხარდაჭერა

ეფექტიანი ახალგაზრდული პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელებისთვის გადაამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ახალგაზრდების ღირებულებების, მოლოდინის და მათ წინაშე არსებული გამოწვევების სიღრმისეულ ცოდნასა და გააზრებას, პოლიტიკის წარმართვის პროცესში მტკიცებულებებსა და უფლებებზე დაფუძნებული მიდგომების დანერგვასა და გამოყენებას.

ზემოთქმულის გათვალისწინებით, განხორციელდება ახალგაზრდობის საკითხებთან დაკავშირებული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისა და პოპულარიზაციის ხელშეწყობი პროექტები, რეგულარულად ჩატარდება ახალგაზრდულ საკითხებთან დაკავშირებული სხვადასხვა სახის კვლევები, გაუმჯობესდება სტატისტიკური მონაცემების შეგროვების და ანალიზის პროცესი, შემუშავდება და დაინერგება ახალგაზრდების მდგომარეობისა და საჭიროებების შეფასების მეთოდოლოგია, გაგრძელდება მუნიციპალური ახალგაზრდული პოლიტიკის რეფორმა, რომლის მიმდინარეობისას დიდი ყურადღება დაეთმობა ახალგაზრდული პოლიტიკის შემუშავების საკითხებში ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებისა და ახალგაზრდულ საკითხებზე მომუშავე სტრუქტურების ინსტიტუციურ განვითარებასა და გაძლიერებას, ახალგაზრდული პოლიტიკის საკითხებთან დაკავშირებული საგანმანათლებლო რესურსების განვითარებას; შეიქმნება მონიტორინგის, შეფასების სისტემის, მართვისა და კოორდინაციის ინკლუზიური მექანიზმები, მომზადდება ახალგაზრდულ პოლიტიკაში ჩართული სუბიექტებისა და მათი უფლება-მოვალეობების განმსაზღვრელი კანონპროექტი, შეიქმნება პოლიტიკის დაგეგმვის პროცესში ახალგაზრდული საკითხების მენისტრინგის გზამკვლევი, მომზადდება ახალგაზრდული პოლიტიკის წარმართვის პროცესში ახალგაზრდებისა და ახალგაზრდული ორგანიზაციების მონაწილეობის ხელშეწყობი მექანიზმების შესახებ რეკომენდაციები, ჩატარდება ახალგაზრდული პოლიტიკის მნიშვნელობასთან დაკავშირებით ცნობიერების ამაღლების კამპანიები.

## 4. სტრატეგიის განხორციელება, კოორდინაცია, მონიტორინგი და შეფასება

### განხორციელება და კოორდინაცია

სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის განხორციელებაზე პასუხისმგებელი არიან-საქართველოს სამინისტროები და სხვადასხვა სახელმწიფო უწყება, რომელთა მიერ განსახორციელებელი კონკრეტული აქტივობები წარმოდგენილია სამოქმედო გეგმაში. ადგილობრივი ხელისუფლება, საკუთარი უფლებამოსილებისა და კომპეტენციის შესაბამისად, ხელს შეუწყობს სტრატეგიული პრიორიტეტებისა და სამოქმედო გეგმის განხორციელებას. სტრატეგიით განსაზღვრული ამოცანები განხორციელდება 2026 წლის ჩათვლით ყველა დაინტერესებულ მხარესთან პარტნიორობის საფუძველზე.

სახელმწიფოს ბიუჯეტი არის სახელმწიფოს ახალგაზრდული სტრატეგიის განხორციელების დაფინანსების ძირითადი წყარო. ასევე, საჭიროების შემთხვევაში, გამოყენებული იქნება კანონმდებლობით გათვალისწინებული დაფინანსების ყველა შესაძლო წყარო, მათ შორის - ადგილობრივი და საერთაშორისო ფონდები, საერთაშორისო დონორი ორგანიზაციებისა და პარტნიორი ქვეყნების ფინანსური მხარდაჭერა.

სტრატეგიის განხორციელების კოორდინაციის, მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმების შემუშავებას, კონცეფციით განსაზღვრული ვალდებულების შესაბამისად, უზრუნველყოფს საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო (სსიპ ახალგაზრდობის სააგენტო).

საქართველოს მთავრობის დადგენილების საფუძველზე შეიქმნება სახელმწიფოს ახალგაზრდული პოლიტიკის უწყებათაშორისი საბჭო, რომლის მიზანი იქნება ახალგაზრდული პოლიტიკის სფეროში საქართველოს მთავრობის ერთიანი პოლიტიკის განხორციელების ხელშეწყობა, „სახელმწიფოს ახალგაზრდული სტრატეგია 2023-2026“-ის, მისი სამოქმედო გეგმ(ებ)ისა და სფეროსთან დაკავშირებული სხვა პოლიტიკის დოკუმენტების შესრულების კოორდინაცია, მონიტორინგი და შეფასება.

საბჭოს შემადგენლობაში შევლენ საქართველოს მთავრობის წარმომადგენლები, კერძოდ მინისტრის მოადგილეები. ასევე, საჭიროებისამებრ, საბჭოს მუშაობაში მონაწილეობისა და გადაწყვეტილების მიღების საშუალება მიეცემათ საკანონმდებლო ორგანოს, საერთაშორისო ორგანიზაციების, ახალგაზრდული პოლიტიკის სფეროში ჩართული არასამთავრობო ორგანიზაციებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების წარმომადგენლებს.

საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო (სსიპ ახალგაზრდობის სააგენტო), კონცეფციით განსაზღვრული ვალდებულების შესაბამისად, ხელს შეუწყობს სახელმწიფოს ახალგაზრდული პოლიტიკის უწყებათაშორისი საბჭოს შეუფერხებელ ფუნქციონირებას.

საბჭოს სხდომები ჩატარდება, სულ მცირე, ექვს თვეში ერთხელ. საბჭოს სხდომების პერიოდულობას, დაკისრებული ფუნქციების გათვალისწინებით, განსაზღვრავს საბჭოს თავმჯდომარე.

საბჭო, თავისი ამოცანების შესრულების მიზნით, შექმნის საბჭოს სამდივნოს და განსაზღვრავს მის შემადგენლობას, ფუნქციებსა და საქმიანობის წესს. საბჭოს სამდივნოს საქმიანობას წარმართავს საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს სსიპ ახალგაზრდობის სააგენტო.

საბჭო სამოქმედო გეგმის შესრულების კოორდინაციის, მონიტორინგისა და შეფასების მიზნით, საჭიროების შემთხვევაში, ხმათა უმრავლესობით შექმნის თემატურ სამუშაო ჯგუფებს ან/და მიმართავს მთავრობას მოქმედი უწყებათაშორისი კომისიების, საბჭოებისა და თემატური სამუშაო ჯგუფებისათვის მითითებული ფუნქციების დაკისრებასთან

დაკავშირებით. თემატურ სამუშაო ჯგუფში მონაწილეობა შეიძლება ეთხოვოთ სახელმწიფო უწყებების, საჯარო სამართლის იურიდიული პირებისა და შესაბამის სფეროში მომუშავე არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების, პროფესიული ასოციაციებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებს, ასევე - მეცნიერებს, ექსპერტებსა და შესაბამისი (თემატური) სამიზნე ჯგუფის წარმომადგენლებს. თემატური სამუშაო ჯგუფი ხმათა უმრავლესობით ამტკიცებს მომხსენებელს თემატური სამუშაო ჯგუფების შემადგენლობიდან, რომელიც, სამდივნოს ინიციატივის საფუძველზე, თემატური სამუშაო ჯგუფის მიერ მომზადებულ რეკომენდაციებს, წინადადებებსა და ანგარიშებს წარუდგენს საბჭოს.

სტრატეგიაში შესაძლებელია ცვლილებების შეტანა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. სამდივნოს ანგარიშის საფუძველზე საბჭო უფლებამოსილია, განიხილოს და დაამტკიცოს სტრატეგიაში ან/და სამოქმედო გეგმაში ცვლილებების შეტანის საკითხი და განახლებული დოკუმენტი დასამტკიცებლად წარუდგინოს საქართველოს მთავრობას.

საზოგადოება და დაინტერესებული მხარეები სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის განხორციელების შესახებ ინფორმაციის მიღებას შეძლებენ საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს სსიპ ახალგაზრდობის სააგენტოს წარმომადგენლებთან პირისპირ შეხვედრების, ოფიციალური ვებგვერდების, სხვადასხვა მედიისა და სოციალური ქსელების მეშვეობით.

სტრატეგიის განმახორციელებელი დაწესებულების (უწყების) რეორგანიზაციის, ლიკვიდაციის ან/და სხვა დაწესებულებასთან (უწყებასთან) შერწყმის შემთხვევაში სტრატეგიის შესაბამის ამოცანებს შეასრულებს მისი უფლებამონაცვლე დაწესებულება (უწყება).

### **მონიტორინგი და შეფასება**

სტრატეგიას აქვს ყოვლისმომცველი მონიტორინგისა და შეფასების ჩარჩო. თითოეული გავლენისა და ამოცანის შედეგის ინდიკატორი დაფუძნებულია ობიექტურად დამოწმებად წყაროებზე და პროგრესის განსაზღვრის მიზნით კონკრეტულ მიზანზე/ამოცანაზე პასუხისმგებელი უწყების მიერ რეგულარულად განხორციელდება მონიტორინგი, ხოლო სტრატეგიის დასრულებისას შეფასდება მიღწეული პროგრესი.

სტრატეგიის მონიტორინგის მიზანია, რეგულარულად შეაგროვოს ინფორმაცია ამოცანების შესრულებისას შესახებ მიღწეული პროგრესის შესახებ (ასევე შემდგომში, სამოქმედო გეგმაში ასახული აქტივობების იმპლემენტაციასთან დაკავშირებით). მონიტორინგი განაპირობებს ანგარიშვალდებულების მაღალ დონეს და ადგენს პასუხისმგებელი უწყებების მიერ აქტივობების იმპლემენტაციის პროცესის ეფექტიანობას.

სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის მონიტორინგისა და შეფასების პროცესში დაინტერესებული მხარეების ჩართულობისთვის, საჭიროებისამებრ გამოყენებული იქნება საბჭოს მიერ თემატური სამუშაო ჯგუფის შექმნის შესაძლებლობის მექანიზმი.

მონიტორინგისა და შეფასების ანგარიშები, ასევე შეფასების მეთოდოლოგიისა და ინსტრუმენტების სამუშაო ვერსიები დამტკიცებამდე, უკუკავშირის მიღების მიზნით, გამოქვეყნდება ინტერნეტსივრცეში, ჩატარდება საჯარო კონსულტაციები და განხილვები ახალგაზრდობის, ახალგაზრდულ ორგანიზაციებისა და ყველა დაინტერესებული მხარის მონაწილეობით.

სამოქმედო გეგმის განხორციელების დაწყებიდან ყოველ ექვს თვეში ერთხელ საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს სსიპ ახალგაზრდობის სააგენტო სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის განხორციელებაზე პასუხისმგებელი უწყებებიდან გამოითხოვს ინფორმაციას განსახორციელებელი ღონისძიებების შესრულების პროგრესის შესახებ, ე.წ. სტატუს ანგარიშებს და მათ საფუძველზე მოამზადებს ე.წ. პროგრეს და წლიურ ანგარიშებს.

ანგარიშების საფუძველზე შეფასდება სტრატეგიის მიზნებისა და ამოცანების მიღწევები და, საჭიროებისამებრ, განხორციელდება ცვლილებები. მონიტორინგის წლიურ ანგარიშში აისახება სამოქმედო გეგმის განხორციელების დაწყებიდან ერთი საანგარიშო წლის განმავლობაში სამოქმედო გეგმის შესრულების პროცესი და მიღწეული შედეგები. აქტივობების დონის სტატუსები განისაზღვრება პოლიტიკის დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების სახელმძღვანელოს მე-7 დანართის (მონიტორინგის ინსტრუქციის) შესაბამისად. სამოქმედო გეგმის მონიტორინგის წლიური ანგარიში მომზადდება გეგმის განხორციელების დაწყებიდან ყოველი მომდევნო წლის გასვლის შემდეგ, 60 კალენდარული დღის ვადაში. მონიტორინგის წლიური ანგარიშები და მათში წარმოდგენილი რეკომენდაციები განსახილველად წარედგინება საბჭოს, გაეგზავნება საქართველოს მთავრობას და გამოქვეყნდება საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს სსიპ ახალგაზრდობის სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე.

საბჭოს მიერ შექმნილი სამდივნო, საჭიროების შემთხვევაში, თემატური სამუშაო ჯგუფების ჩართულობით მოამზადებს შეფასების შუალედურ და საბოლოო ანგარიშებს. საჭიროებისამებრ შუალედური ანგარიში მომზადდება სტრატეგიის დამტკიცებიდან ორი წლის შემდეგ, ხოლო საბოლოო ანგარიში მომზადდება სტრატეგიის მოქმედების დასრულების შემდეგ 6 თვის ვადაში, რაც შესაძლებელს გახდის შეფასების შედეგებისა და რეკომენდაციების გამოყენებას შემდგომი სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების პროცესში.

სამდივნოს მიერ მომზადებული შეფასების ჩარჩო დასამტკიცებლად წარედგინება საბჭოს. შეფასების ჩარჩო დაეფუძნება საქართველოს პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის სისტემის ხუთ ძირითად კრიტერიუმს, რომლებიც, თავის მხრივ, ეფუძნება ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) საგარეო დახმარების კომიტეტის (DAC) შეფასების კრიტერიუმებს. ეს კრიტერიუმებია: შესაბამისობა, ეფექტურობა, ეფექტიანობა, მდგრადობა და გავლენა. შეფასების პროცესი დაეფუძნება საქართველოს მთავრობის შეფასების სახელმძღვანელოს *(იხ. პოლიტიკის დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების სახელმძღვანელო, დანართი 8)*.

## დანართები

დანართი 1: ლოგიკური ჩარჩო;

დანართი 2: სახელმწიფოს ახალგაზრდული სტრატეგიის სამოქმედო გეგმა 2023;

დანართი 3: საჯარო კონსულტაციების შემაჯამებელი ანგარიში;

დანართი 4: ინდიკატორების პასპორტი;

დანართი 5: გამოყენებული ლიტერატურა;

დანართი 6: ტერმინთა განმარტებები.